www.adjaraps.com

საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაციის წევრი სახალხო გაზეთი

აჭარა P.S.

25 ოქტომბერი, 2011 წელი, №24 (620)

ფასი 50 თეთრი

ჩვენ არ ვიცვლით ფერს!

გამოცემის მეთოთხმეტე წელი

2

რევოლუციის გაგონება არ მინდა

3

ქართველი აზდაკის სიკვდილი



2

მეხის გავარდნა პოლიტიკურ ცაზე

6

ხელოვნების ზეიმი „აჭარა P.S." - საგან



გვ.7

უნდა მოვითხოვოთ მოღალატეთა და უზნეოთა მოკვეთა ქართული ეკლესიისაგან!..

...აქ სალოცავად მოდის არამარტო ქრისტიანი მრევლი, არამედ ისეთებიც ვინც ჯერ კიდევ მუსლიმანია, მაგრამ როგორც ქართველს, დიდი სურვილი აქვს ქრისტესმიერ გზას დაადგეს, მათ ოცნებად გახდომიათ სოფლისათვის ერთი მღვდელი, რომელიც კვირაში ერთხელ მაინც აღავლენს წირვა-ლოცვას... მაგრამ სამწუხაროდ, მრევლის სულიერ მდგომარეობზე აქ არავინ ზრუნავს. ასეთი რამ ნორმალურ ქვეყანაში არ ხდება!..

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის განცხადებით, თუ ხელისუფლება ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობას არ აღუდგენს და არჩევნებში მონაწილეობის საშუალებას არ მისცემს, საქართველოში სამოქალაქო ომი დაიწყება. ამ ინფორმაციას „აფსნი პრესი" ავრცელებს.

- ივანიშვილს მოქალაქეობა უნდა აღუდგინონ, ეს სურს ქართველ ხალხს და საერთაშორისო საზოგადოებას, ამბობს შევარდნაძე.

ივანიშვილის ადვოკატებმა პრეზიდენტის გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივრეს, სარჩელს თან ერთვოდა შუამდგომლობა, რომლითაც ისინი სასამართლოს გადაწყვეტილებამდე ბრძანებულების მოქმედების შეჩერებას ითხოვდნენ. როგორც გაირკვა, სასამართლომ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

შეგახსენებთ, რომ ბიძინა ივანიშვილსა და მის მეუღლეს საფრანგეთის მოქალაქეობის მიზეზით საქართველოს მოქალაქეობა მას შემდეგ შეუჩერეს, რაც ივანიშვილმა პოლიტიკაში წასვლისა და მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის შესახებ განცხადება გააკეთა.

„ოპოზიციონერის ნეიტრალიზების ქართული სტილი", - ასე ეხმაურება რუსეთის ინგლისურენოვანი ტელეკომპანია „რუსია თუდეი" ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის შეწყვეტას.

ტელეკომპანიისთვის მიცემულ ინტერვიუში ივანიშვილის ადვოკატი ეკა ბესელია აცხადებს, რომ ბატონი ბიძინას პოლიტიკაში ჩართვამ ხელისუფლებაში შიში გამოიწვია, როცა მან თქვა, რომ პარტიის შექმნასა და არჩევნებისათვის მზადებას აპირებს, ხელისუფლება პანიკამ მოიცვა - დასძენს ეკა ბესელია.

ტელეკომპანიამ ივანიშვილის კუთვნილი „ქართუ ბანკის" ირგვლივ აგორებულ სკანდალზეც გაამახვილა ყურადღება.

tribuna.ge

ირჩევ „აჭარა P.S." - ესე იგი, მართალი ხარ!

ეჯარა P.S. - 2011 წლის 25 ოქტომბერი №24 (620)

გაზეთი არის საქართველოს
რეგიონული მედიის ასოციაციის
სრულუფლებიანი წევრი

„რევოლუციის გაგონება არ მინდა“

მცირედი შემოკლებით გთავაზობთ პოლიტიკოს ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუს, რომელიც ამ დღეებში მან ჟურნალისტ ია ანთაძეს მისცა და ინტერნეტსაიტ „ტრიბუნა. ge“-ზე გამოქვეყნდა.

- ამ ხელისუფლებაში მენეჯმენტი საერთოდ არ იციან. სტუქტურები არსებობს, ხელფასებს არიგებენ, მაგრამ გადაწყვეტილებას სამი კაცი იღებს კაბინეტში. სამ კაცს უნდა, რომ ქვეყანა მართოს. ქვეყანა კი არა, პატარა საწარმო არ შეიძლება, რომ ასე იმართებოდეს. მათ რომ გადანაწილებული ჰქონდეთ ფუნქციები სამინისტროებზე, ასეთ უმეცრებას არ ჩაიდენდნენ. ისიც კი ვერ გათვალეს, რომ თუ ჩემ შემთხვევაში რაღაც მოსადავებელი კიდევ იყო, ჩემი მეუღლის მოქალაქეობასთან დაკავშირებით შეკითხვაც არ შეიძლება დაისვას.

მათ უნდათ, მთელ ქვეყანას შავი ფარდა გადააფარონ; შუქი სადაც აღწევს და ვინც რაღაცას ხედავს, ისინი დააშინონ; მეორე ნაწილი კი სიცრუის მანქანით მოატყუონ. მათგან ყველაფერია მოსალოდნელი და არც იმას გამოვრიცხავ, რომ მესროლონ, ამას ვაცნობიერებ და ფრთხილად ვარ.

ძალიან არ მომწონს მათი არასწორი ნაბიჯები და ყველანაირად ვცდილობ, რომ აქ კადაფიზაცია არ დაიწყოს. ჩემი მთავარი მიზანია, რომ ესენი როგორმე შევაჩეროთ, როგორმე კანონიერების ფარგლებში დავაბრუნოთ. ამიტომ, ყველაფერს ვაკეთებ, რომ შიდა ტემპერატურა დავწიო, რათა არ მოხდეს დაპირისპირება. ძალიან მეშინია, ქუჩის აქციები არ დაიწყოს, რაც ამათ აწყობთ. არ უნდა ვითამაშოთ მათი თამაში. როგორმე არჩევნებამდე უნდა მივიდეთ.

- ბიზნესიდან წამოღებული რა გამოცდილება გამოგადგებათ პოლიტიკაში და რამდენად ხართ მზად კომპრომისებისა და შეთანხმებებისთვის?

- ჩემს კომპანიებში, სადაც 100 000 კაცი მუშაობდა, ყოველთვის 10-12 კაცთან ერთად ვიღებდი გადაწყვეტილებას. ვინც ვერ ახერხებდა ჩემს კრიტიკას, იმას ახლოს არ ვიკარებდი. არ შეიძლება, კაცმა წარმატებას მიაღწიო, თუ შენ კარნახობ ყველას, რა უნდა გააკეთოს - როგორც ჩვენი მთავრობა იქცევა.

ვინც წარმატებას მიაღწია - და მე არ ვიქნები გამონაკლისი - ის ყოველთვის მაქსიმალურ ოპონირებას მოითხოვს, რათა შეცდომა არ დაუშვას. თუ გინდა, წარმატებას მიაღწიო, აუცილებლად უნდა დაეყრდნო ლიბერალიზმსა და დემოკრატიას.

ახლა პოლიტიკოსი და ბიზნესმენი შევადაროთ. დემოკრატია რა არის? ხალხმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. ბიზნესმენი ვერ მიაღწევს წარმატებას, თუ ლიბერალი არ არის და ერთპიროვნულად მართავს. მეორე მხრივ, პოლიტიკოსიც პირადი წარმატებისთვის იღვწის, თუმცა, ცდილობს, სხვაგვარად წარმოაჩინდეს. მაგრამ, სინამდვილეში, ეს ასეა.

წარმატებისკენ სწრაფვაში პოლიტიკოსი ბიზნესმენისგან არ განსხვავდება, პირიქით, ხშირად უფრო მეტადაც აგრესიულია. ბიზნესმენი თანდათან იზრდება და თვითონ ქმნის თავის სამოქმედო არეალს, პოლიტიკოსი კი მოდის გამზადებულზე და საზოგადოებისგან უკვე შექმნილის მოხმარებას იწყებს. ნიჭიერ პოლიტიკოსს შეუძლია - და ამის მაგალითი ბევრია - რომ სახელმწიფოც განავითაროს და სკამიც შეინარჩუნოს. უნიჭო და ნაკლებად ნიჭიერი, რომელიც ორივეს ერთად ვერ ახერხებს, რა თქმა უნდა, პირველ ადგილზე სკამს აყენებს და ყველაფერზე მიდის მის შესანარჩუნებლად. გააჩნია, რა დონეზე მისცემს ამის უფლებას საზოგადოება. სინამდვილეში, სხვაობა ბიზნესმენსა და პოლიტიკოსს შორის არც თუ ისე დიდია მართვის კუთხით.

- ამბობენ, მიხეილ სააკაშვილმა შექმნა ქმედურანიანი, ენერგიული მთავრობა. ამ პროცესს საქართველოს მოსახლეობა გარკვეული პერიოდის განმავლობაში იმედით შეჰყურებდა. შემდეგ ხელისუფლება სულ უფრო არაპოპულარული და მიუღებელი გახდა. თქვენი აზრით, რა იყო ის მთავარი მიზეზი, რამაც ხელისუფლებისადმი ნდობა უნდობლობად გადააქცია?

- ქმედუნარიანი მთავრობა?! ვერ დაგეთანხმებით. რამდენიმე პროექტი მართლაც განხორციელდა. პოლიციაში მოხდა რეფორმა და ის სირცხვილიც მოვიშორეთ, როდესაც უმაღლესში ქრთამით ეწყობოდნენ. მე არ მინდა, რომ ის კარგი დავკარგო, რაც გაკეთდა. მაგრამ განათლების სისტემაში უამრავი შეცდომა დაუშვეს, რაზეც ახლა არ შევჩერდები. საუბედუროდ, პოლიციამაც ის ეფექტურობა მთლიანად დაკარგა, რაც თავიდან ჰქონდა - პრაქტიკულად, სათავისოდ და ხალხის დასაშინებელ მანქანად იყენებენ.

ამიტომაც, ვერ დავეთანხმები იმ აზრს, რომ ქმედუნარიანი მთავრობა შეიქმნა. თანამდებობის პირთა მუდმივი გადაადგილებები საბავშვო თამაშებს ჰგავს. მართლაც ქმედუნარიანი მთავრობა ცოტა სხვანაირ შედეგებს მიიღებდა. ქმედითი შექმნეს ფულის შეგროვების მექანიზმი ბიუჯეტში, რაშიც მეც მივეხმარე და რასაც შევარდნაძის მთავრობა ვერ ახერხებდა.

სახელმწიფოს ფუნქციაა, რომ უნდა მოკრიბოს გადასახადი. საგადასახადო სამსახურში და საბაჟოზე ფულის დიდი ნაწილი ადგილზე რჩებოდა და ნაწილდებოდა, იმის მაგივრად, რომ ბიუჯეტში წასულიყო. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო თავის ფუნქციას ვერ ასრულებდა. პირველ ეტაპზე ეს იყო ეფექტური, როცა ბიუჯეტს თავისი სახე მიეცა. რაღაც ინვერსტიციები შემოვიდა, მშენებლობები დაიყო, მაგრამ დიდი და სერიოზული ინვესტიცია აქ არ განხორციელებულა.

ფულის შეგროვება რომ მოახერხეს, ეს ნამდვილად უნდა ჩავუთვალოთ, მაგრამ რაც ამ ბოლო დროს ხდება, წარმოუდგენელია. ჩემთვის სრულიად მიუღებელია, რაც ფინანსთა სამინისტროში ხდება. ან რას ჰგავს სახელმწიფო ბიუჯეტი?! ფინანსთა სამინისტრო და ბიუჯეტი საკუთარ ჯიბედ გადაიქციეს. ატარებენ კონცერტებს, უაზრო ღონისძიებებს, ეს ნონსენსია. ასეთი რამ ვერ მოხდება, მაგალითად, საფრანგეთში, რომელიც საკმაოდ წარმატებული სახელმწიფოა.

- მაინც, რა იყო მიზეზი, რომ ნდობა უნდობლობით შეიცვალა? ყველამ თავისი გზა გაიარა ნდობიდან უნდობლობამდე. თავიდან ხომ იყო ნდობა?

- დიახ, ნდობა იყო და მეც ეიფორიაში ვიყავი. ცალ-ცალკე ვიტყვი, რა იყო უნდობლობის გაჩენის მიზეზი ჩემთვის, და რა იყო, ჩემი აზრით, იმავეს მიზეზი ხალხისთვის. ნდობამ ჩაქრობა დაიწყო მაშინ, როცა ამათ თავისი რეალური სახის ჩვენება დაიწყეს; როცა რაღაც გაუგებარი მიზეზების გამო სახლებს ანგრევდნენ, როდესაც დამსახურებულ ადამიანებს აბუჩად იგდებდნენ და ასე შემდეგ.

დიახ, ეიფორია ნამდვილად იყო, რომ მოვიდა დემოკრატიული მთავრობა. მეც ამ განწყობით ვიყავი. თუნდაც, იგივე მეცხრე არხი, რომელიც დემოკრატიის მხარდამჭერ სათადარიგო არხად მქონდა. მთელმა პერსონალმა იცოდა, რომ თუ რამე მოხდებოდა, ჩვენ გამოვიწევდით წინა პლანზე თავისუფალი სიტყვის დასაცავად. როცა ეს მთავრობა მოვიდა, ვერ ვიკადრე, რომ ამ ტელევიზიას ფუნქციონირება გაეგრძელებინა. ვფიქრობდი, რომ, ასრულდა ჩვენი ოცნება და არ მინდოდა, ჩასაფრებულის როლში აღმოვჩენილიყავი. ხელისუფლებას ვაჩუქე ტელევიზია, რომლის ნაწილი "რუსთავი 2"-ს მისცეს, ნაწილი, მე მგონი, პირველ არხს გადაულოცეს.

გახსოვთ, ხალხს ქუჩაში გამოსვლა არ აპატიეს... ამას მოჰყვა უკანონო ნგრევა, ქონების წართმევა, კიდევ სხვა და სხვა... ხალხმა ჩემზე ადრე დაიწყო სინამდვილის გაცნობიერება.

მათ ნელ-ნელა გამოაჩინეს საკუთარი სახე. დღეს ხომ არ დაბადებულან? ყოველთვის ასეთები იყვნენ. მე, ჩემდა სამწუხაროდ, გვიან გავაცნობიერე, ვინ არიან ესენი. ამის მიზეზი, ალბათ, ის იყო, რომ მთლიანად ვიყავი ჩართული ჩემს საქმეში, მქონდა ჩემი დღის რეჟიმი, დაკავებული ვიყავი ოჯახით, არ ვხვდებოდი პოლიტიკოსებს. საერთოდ, პოლიტიკა ჩემი თემა არ იყო. ჩემთვის ინფორმაცია ან თავად სააკაშვილს მოჰქონდა, ან მერაბიშვილს, რომელსაც ხანდახან მიშა გამოგზავნიდა ხოლმე, როცა ჩამოსვლა არ შემეძლო. მთავრობაშიც თითქმის არავის ვიცნობდი.

არადა, თავიდან ყველანაირად გვერდში ვედექი - რჩევით, ფინანსებით. ვეუბნებოდი, ოღონდ თქვენ კორუფცია მოსპეთ და წესრიგი დაამყარეთ, რაც საჭიროა, ყველაფრით დაგეხმარებით-მეთქი. საზოგადოებას რომ ეგონა, მთავრობას სოროსი აფინანსებდა, სინამდვილეში, იმ თანხას, ძირითადად, მე ვიხდიდი.

დრო რომ გადიოდა, რაღაცეები მესმოდა და არ მომწონდა, მაგრამ 7 ნოემბერს უკვე ძალიან დავიძაბე და მიშას დავურეკე. მითხრა, მოგცემ ყველა მასალას, მერაბიშვილი ჩამოვა და ჩამოგიტანსო. ამასობაში „იმედის“ ამბები დატრიალდა. ძალიან გაცეცხლებულმა დავურეკე, ჭორვილაში ვიყავი. კატეგორიულად მოვთხოვე „შეაჩერე!“ მეუბნებოდა: შენ არ იცი, რა ხდება... საშინელება ხდება... სახელმწიფო გადატრიალება ხდება... მერე აგიხსნიო.

მეორე დღეს ჩამოვედი და ვკითხე, აბა, რა მოხდა-მეთქი. რა თქმა უნდა, არაფერი ჰქონდათ რეალური, რითიც დამარწმუნებდნენ. სულ მეუბნებოდა, შენთან ურთიერთობა ჩემთვის ძალიან ძვირფასიაო. მე ვუთხარი, რომ ჩვენს ურთიერთობაზე აღარ იყო საუბარი - „სასწრაფოდ გადადექი და საზოგადოებამ შეაფასოს შენი საქციელი. პირდაპირ გეუბნები, რომ ჩემთვის მიუღებელი პრეზიდენტი ხარ“.

მეორე დღეს დამირეკა და მითხრა, გადავდგებიო. მერე გავიგე, რომ ამაში უცხოეთიც ყოფილა ჩარეული.

გამიხარდა, რომ გადადგა. მაგრამ ამით რაღაც პასუხისმგებლობაც ვიგრძენი. რადგან რჩევით დახმარებას მთხოვდა, მეც, ნაწილობრივ, ჩავერთე პროცესში. ტელევიზორის ყურება დავიწყე და ამასობაში მივხვდი, რომ არ ყოფილა საქმე ისე, მე რომ მეგონა.

(გაგრძელება მე-5 გვერდზე)

მეხის გავარდნა პოლიტიკურ ცაზე



ასე შეაფასეს ბატონი ბიძინა ივანიშვილის განცხადება „ქართული აკადემიის“ აჭარის წარმომადგენლობასთან არსებული უხუცესთა სათათბიროს წევრებმა.

ბოლოს და ბოლოს, გამოჩნდა შუქი გვირაბის ბოლოს.

რაღა თქმა უნდა, ძალიან ოპერატიულად აჟღურტულდნენ და განგაშის ზარები დარეკეს „დემოკრატიის“ შუქუროსანმა ტელეარხებმა და ჟურნალისტებმა, ჩინოვნიკებმა და პარლამენტარებმა. როგორც წესი, სხვა არგუმენტი მათ არ გააჩნიათ, ხელი რუსეთისაკენ გაიშვირეს. თურმე ნუ იტყვით და ბატონი ბიძინას ფინანსური აქტივები რუსეთში ყოფილა ნაშოვნი. მე მინდა ვკითხო ნაცმოძრაობის მიერ პრივატიზებულ ხელისუფლებას და მათ ჩინოვნიკებს, როცა ქართველი ბიზნესმენი ქართულ კულტურას აფინანსებდა, მაშინ თუ იყო ის ფული რუსეთში ნაშოვნი?! სად გაგონილა ასეთი პრეტენზია წაუყენოთ სამების ტაძრის აღმაშენებელ ბიზნესმენს?!

დღეს საქართველოს სჭირდება ილია ჭავჭავაძის იდეოლოგია, რომელიც ფეხქვეშ გათელა მოზარდების ხელისუფლებამ, და ნიკო ნიკოლაძის პრაქტიკული საქმეები. როგორც ბატონი ბიძინა აღნიშნავს თავის განცხადებაში და მისი მოწმეა ქართველი ხალხი, სააკაშვილის ხელისუფლება აგებულია ძალადობასა და სიცრუეზე.

ბატონი ბიძინას განცხადება არის დღევანდელი საქართველოს უცდომელი კარდიოგრამა, რომელსაც გააზრებული წაკითხვა სჭირდება და ამის შემდეგ შეიძლება ყველა იმ ეროვნული ტკივილის მკურნალობა და მოშუშება, რომელიც სულს უხუთავს ქართველ ხალხს.

ბატონი ბიძინა გვესახება ჩვენი დროის ნიკო ნიკოლაძედ, რომელსაც ხელთ უპყრია ქართველი ხალხის გადარჩენის პროექტი, რომლის ხორცშესხმას ეროვნული ძალების სრული მობილიზაცია და თანადგომა სჭირდება. პარტია, რომლის შექმნასაც აპირებს ბიზნესმენი, უნდა გახდეს ეროვნული ინტერესების გამომხატველი პოლიტიკური ცენტრი, რომელიც დაუპირისპირდება სოროსისტულ ნაციონალურ მოძრაობას და სამშვიდობოზე გაიყვანს საქართველოს და ქართველ ხალხს.

როცა ძალიან გაუჭირდა საქართველოს, უფალმა ილია ჭავჭავაძე მოგვივლინა. ჩვენი ფიქრით, ბიძინა ივანიშვილი ღვთის ჯილდოა საქართველოს გადასარჩენად გამოგზავნილი. ჩვენი ვალია მას გავუფრთხილდეთ. ღმერთმა დაიფაროს ბატონი ბიძინაც და სრულიად საქართველოც.

შოთა ზოიძე

„ქართული აკადემიის“ აჭარის წარმომადგენლობის კოორდინატორი, მწერალი, ფოლოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 12, 10, 2011, №190

www.adjaraps.com * ნომრის გამოსვლამდე მომხდარი მოვლენები, ვიდეო და აუდიო რეპორტაჟები!

გარდასახვების დიდოსტატი გრიმის გარეშე...

ქართველი ხალხი გულისტკივილით გამოეთხოვა თანამედროევეობის გამოჩენილ ქართველ მსახიობს რამაზ ჩხიკვაძეს.

რამაზის თეატრალური და კინოროლები სამუდამოდ დაიმკვიდრებს ადგილს ეროვნული კულტურის ოქროს ფონდში. მისი მაღალი ნიჭიერებით აღბეჭდილი სახეები ხალხმა შეიყვარა და საყვარელი მსახიობი ქართული კულტურის კორიფეების აკაკი ხორავას, ლადო მესხიშვილის, აკაკი ვასაძის, უშანგი ჩხეიძის, შალვა შავგულიძის, სერგო ზაქარიაძის, ვასო გოძიაშვილის, ვერიკო ანჯაფარიძის, სესილია თაყაიშვილის, იუსუფ კობალაძის, ეროსი მანჯგალაძის და სხვა დიდოსტტა გვერდით სიცოცხლეშივე დააყენა.

ათწლეულების მანძილზე იღვაწა რუსთაველის თეატრში და ლომის წილი მიუძღვის საერთაშორისო ავტორიტეტისა და მსოფლიოში სახელდებულ თეატრებს შორის მაღალი რეიტინგის მოპოვებაში.

ძვირფასი რამაზი სულით და ხორცით ქართველი მსახიობი იყო და თავის ხიბლს მატებდა ეროვნულ ცნობიერებას. ის იყო დიდოსტატი, რომელიც ხელმწიფის ნავში არასდროს ჩამჯდარა, ის იყო კაცი, რომელიც თავისი ბათუმელი კოლეგებივით, ილია ჭავჭავაძის ძეგლის დემონტაჟს ხელს არ მოაწერდა და მოტეხას შეუშვერდა თავს, ის იყო მსახიობი, რომელიც ამაღლებდა და საშშობლოს სიყვარულით აღანთებდა ჩვენს სულებს.

რამაზ ჩხიკვძემ მოიხსნა თეატრალური ნიღაბი და თავაწეულმა უკანასკნელი ნაბიჯი უკვდავებაში გადადგა.

შოთა ზოიძე

მედიაჯგუფი „აჯარა P.S.“-ის არქივს შემორჩა რამაზ ჩხიკვაძის მეტად საინტერესო ინტერვიუ, რომელიც 2007 წელს ქობულეთში, ბიზნესმენ თემურ ჭყონიას სახლში ჩავწერეთ, ჩვენს რედაქციებს კი ამშვენებს დიდ ხელოვანთან გადაღებული აწ უკვე უნიკალური ფოტოები. ხსენებულ ინტერვიუს რამაზ ჩხიკვაძესთან გაზეთის დღევანდელ ნომერში გთავაზობთ.

მარტის ჭირვეული დღეების მდუმარებაა ქობულეთში. ის ხან მსუსხავი ქარ-წვიმით და ღრუბლების ქარავნით გაისეირნებს მიტოვებულ სანაპიროზე, ხან კი ზაფხულის მცხუნვარებით შეეთამაშება ტალღების ჩქეფსა და მოხასხასე ქვიშას...

რომანტიკოსი თუ ეწვევა ქობულეთს ამ დროს... ჰოდა, სწორედ ახლახან თვალწარმტაც ვილაში თემურ ჭყონიას დიდებული სტუმარი ეწვია.

რამაზ ჩხიკვაძე - დრამატული მსახიობი, რომელმაც თანამედროვეობას ოთხი გენიალური თეატრალური სახე აჩუქა - აზდაკი, მეფე ლირი, რიჩარდ მესამე და ყვარყვარე თუთაბერი...

...ჰოლში თბილოდა. განიერი ფანჯრებიდან სანაპირო და ჩამუქებული ზღვა იმზირებოდა, ბატონი რამაზი მსუბუქი ხმაურით შემოვიდა და სიჩუმე აავსო მისი ხმის ტემბრმა... თაყვანი მინდოდა მეცა ჩვენი დროის გმირისათვის... მან კი უბრალოდ და სწრაფად სავარძლების დეკორაცია შეცვალა და ყველა როლიდან გამოსული, მკვეთრი გრიმებისაგან ჩამორეცხილი, მშვიდი ღიმილით პირველი კითხვისათვის განეწყო...

მედიაჯგუფი „აჯარა P.S.“-ის ფოტოქრონიკა

— ბატონო რამაზ, სადაური ქართველი ხართ, ანუ რომელი კუთხიდანაა დავალებული ასერიგად საქართველო? ჩხიკვძეები ჩოხატაურშიც სახლობენ!

— დიახ, სწორედ ჩოხატაურის ჩაისუბნიდან წამოსულან ჩემი მშობლების მამაპაპანი, ცნობილი მჭედელები ყოფილან, თელავს დასახლებულან, იქ დაბადებულა ბაბუაჩემი, გურული კაცი. იგი ისტორიკოსი, მუსიკათმცოდნე ყოფილა, სიმღერებს აგროვებდა, თბილისში დამკვიდრებულა, იქ დაიბადა მამაჩემი და, რაღა თქმა უნდა, მეც... მამაჩემი გრიგოლ ჩხიკვაძე ხელოვნებათმცოდნე, მუსიკათმცოდნე, კონსერვატორიის პროფესორი, დოქტორი გახლდათ. დედასაც კონსერვატორია ჰქონდა დამთავრებული. ორთავეს ძალიან უნდოდა მეც მუსიკოსი გავმხდარიყავი. შვიდი წლისა კონსერვატორიის ნიჭიერთა კლასში ჩავირიცხე, გამოცდებზე ჩემი იმპროვიზაციები დავუკარი და არიქა, მოცარტი დაიბადაო... ჩემი პედაგოგი ქალბატონი თამარ ჩარექიშვილი იყო, როგორც მახსოვს, გატაცებით ვსწავლობდი და მშობლებს დიდ იმედებს ვაძლევდი, მაგრამ ყველაფერი უკუღმა შეტრიალდა, როცა მოზარდ მაყურებელთა თეატრში (უკვე 13 წლისა) სპექტაკლზე წამიყვანეს დასასწრებად... ახლაც თვალწინ მიდგას ეს სპექტაკლი „შორეული გზით“, სწორედ ამ სპექტაკლის შემდეგ მივიღე ურყევი გადაწყვეტილება — მსახიობი გავმხდარიყავი ჩემი მშობლებისათვის სავალალოდ. წყალში ჩაეყარათ ამდენი ცდა... მამაჩემმა კონსერვატორიაში გადასაყვანი გამოცდებიდან გამომავდო... აშკარად იგრძნო, მუსიკაზე გული ამიცრუვდა... მუსიკალურ ტექნიკუმში გადამიყვანეს. აქაც იგივე და აი, პიონერთა სასახლეში დრამატული წრის წევრები გავხდით მე და ჩემი მეგობარი გივი ვლადიმერაშვილი. გამოცდა მოგვიწყვეს, მიგვიღეს. პატარა კახიც ვითამაშე, რაინდი — „რობინ ჰუდიდან“... თედო წეროძე იყო შესანიშნავი რეჟისორი და პედაგოგი, დიდი მადლი ჰქონდა ჩვენზე, ისიც გურული. მერე გურამ საღარაძე მოვიდა, კარლო საკანდელიძე, გოგი გამსახურდია.

> „... ნამდვილად კარგი მოსამართლე ვიქნებოდი და მეტ ჭეშმარიტებას დავადგენდი. აზდაკი ძალიან ფილოსოფიურად და ცხოვრებისეულად უყურებს ყველაფერს. მან იცის ვის ასამართლებს და რაც გინდა გასამართლებელი საბუთი ჰქონდეს, ბოროტული დამნაშავე მის თვალს არ ეპარება...“

მხატვრულ კითხვაში დიდებული პედაგოგი ნოდარ ჩხეიძე გვამზადებდა... ეს იყო ჩვენი ბედნიერი ბედი... 47 წელში თეატრალურ ინსტიტუტს რომ მივადექით, უკვე გამზადებული არტისტები ვიყავით. ყველანი ჩავირიცხეთ.

— და ალბათ ეს იყო ყველაზე საუკეთესო წლები თქვენს ცხოვრებაში, არა, ბატონო რამაზ?

— დიდებული რეჟისორები გვყავდნენ, დოდო ალექსიძე, მიშა თუმანიშვილი, დავით ჩხარტიშვილი. იქ უკვე ფიგაროც ვიყავი, ლენინიც, ჩიპურნოი (გორკის პიესა). იქედან პირდაპირ რუსთაველის თეატრში გამანაწილეს...

— თქვენი უსაყვარლესი როლი, იქნებ მე, როგორც რეპორტიორი, თანმიმდევრული არა ვარ, მაგრამ თქვენი შექმნილი გენიალური სახეები მაიძულებენ ასე მოვიქცე...

— იცით, როცა სრულიად ახალგაზრდას, თეატრში თვენახევრის მისულს ლენდროს როლს მოგცემენ „ესპანელი მღვდელიდან“ და შენი სატრფო დიდებული და მშვენიერი ქალბატონი მედეა ჩახავა იქნება, შეიძლება ეს სახე არ გიყვარდეს? ეს ჩემი უსაყვარლესი როლი იყო, ეს არ იყო ბედნიერება?... მერე ფილოსოფიის დოქტორი და ჩემი პარტნიორები მანანა ალფაიძე, გოგი გეგეჭკორი, ეროსი მანჯგალაძე... თუ მაყურებელმა შენი როლი არ შეიყვარა, შეიძლება შენ გიყვარდეს? ჩემს ბედზე ასეთი საყვარელი როლი ბევრი იყო, მეშინია რომელიმეს არ ვაწყენინო...

— თქვენ „კავკასიურ ცარცის წრეში“ სახალხო მოსამართლის დაუვიწყარი როლი ითამაშეთ... ახლა რომ აზდაკი იყოთ, სამართალს როგორ იქმდით?

— ნამდვილად კარგი მოსამართლე ვიქნებოდი და მეტ ჭეშმარიტებას დავადგენდი. აზდაკი ძალიან ფილოსოფიურად და ცხოვრებისეულად უყურებს ყველაფერს. მან იცის ვის ასამართლებს და რაც გინდა გასამართლებელი საბუთი ჰქონდეს, ბოროტული დამნაშავე მის თვალს არ ეპარება. მის გვერდზე მდგომ საწყალ კაცს, სიმართლის გარდა არავითარი დამხმარე რომ არ ჰყავს, პატიობს პატარა დანაშაულს და თავს იმას ესხმის, ვისაც ჰგონია გადაირჩენს თავს ან სიმდიდრით, ან ყალბი მოწ-

(გაგრძელება მე - 4 გვერდზე)

სარფიდან-ჩოლოქამდე

18-25 ოქტომბერი

შეხვედრა საარჩევნო კომისიაში

ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის სამოცდამეცხრამეტე უბანში საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებმა რეგიონულ მედიასთან შეხვედრა გამართეს.

შეხვედრის მიზეზად საოლქო საარჩევნი კომიტეტსა და რეგიონულ მედიას შორის კომუნიკაციის პრობლემა დასახელდა. ცესკოს წარმომადგენლებმა ჟურნალისტებს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასა და ახალი მონიტორინგის ჯგუფის ჩამოყალიბებაზე ესაუბრეს. შეხვედრაზევე დაისახა 2011-15 წლების სტრატეგიული გეგმა, რომელშიც საარჩევნო ადმინისტრაციის მისია, ხედვა, მოქმედების პრინციპები და სტრატეგიული მიზნებია განსაზღვრული.

ტრენინგის გამართვის მიზანი მედიის წარმომადგენელთათვის საარჩევნო ადმინისტრაციის სამომავლო გეგმის გაცნობა იყო, რადგან დაინტერესებულ მხარეებთან პრაქტიკული თანამშრომლობის მიზნით საარჩევნო ადმინისტრაცია ინფორმაციის გენერირებასა და მხარეებისათვის დაუყოვნებლივ მიწოდებას უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის კომუნიკაციების კონსულტანტის ნიკოლოზ პროსპასევდოვის განცხადებით, ამ ხასიათის ტრენინგები ხელს შეუწყობს საარჩევნო ადმინისტრაციასა და მედიას შორის კომუნიკაციების გამყარებას, ინფორმირებული არჩევანის გაკეთებას.

შეხვედრის მსვლელობისას, არჩევნების მიმდინარეობის პროცესში, ამომრჩეველთა ინფორმაციის დონეზე კომენტარი გააკეთა ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენელმა და რეგიონულ მედიასთან ურთიერთობის საკითხში კონსულტანტმა თამარ მჭედლიშვილმა. მოგვიანებით კი მან არჩევნების მიმდინარეობის პროცესში მედიის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

ქალბატონი თამარის განცხადებით, არჩევნების საკითხში გათვითცნობიერებული ჟურნალისტი ნიშნავს ინფორმირებულ ამომრჩველს. ყოველივე ეს კი დემოკრატიული არჩევნების წინაპირობაა.

ცენტრალური საარჩევნო კომისია კვლავ გეგმავს ამ სახის ტრენინგების ჩატარებას მედიასაშუალებებთან და იმედოვნებს, რომ ეს სიახლე ხელს შეუწყობს საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობასა და საარჩევნო პროცესის გაუმჯობესებას.

მარიკა დუმბაძე

ჯიდევ ერთი მეგობარი

ქობულეთის მუნიციპალიტეტი და ლიტვის ქალაქი პალანგა დამეგობრდნენ. მემორანდუმს ხელი პალანგას მერმა შარონას ვაიტკუსმა და ქობულეთის საკრებულოს თავმჯდომარე ნიკო ბერაძემ მოაწერეს. მემორანდუმის თანახმად, ორ ქალაქს შორის თანამშრომლობა სხვადასხვა სფეროებში იგეგმება. პრიორიტეტული ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის სფეროები იქნება.

გაზეთი არის საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაციის სრულუფლებიანი წევრი

გარდასახვების დიდოსტატი გრიმის გარეშე...

(მესამე გვერდიდან)

მეებით... ფილოსოფიური დატვირთვა აქვს ამ როლს. ჩემი ბედნიერება ის იყო, რომ დრამატული როლებიც მქონდა და კომედიურიც.

— როგორც მახსოვს, თქვენ ეს სპექტაკლი გერმანიაში, საარბრუკენში, ბრეხტის სამშობლოში ჩაიტანეთ...

— ეს ძალიან რთული იყო. როცა როლი მის სამშობლოში ჩაგაქვს, შენ კრიტიკულად გიყურებს მაყურებელი... უფრო მეტიც, საგასტროლოდ მოვემზადეთ და პროდიუსერი გაკვირვებული დარჩა, ბრეხტი ძალიან ერთფეროვანი და მოსაწყენია, რატომ აირჩიეთ ეს რეჟისორიო. მაგრამ ჩვენ არა მარტო საარბრიუკენელები განვაცვიფრეთ, მთელი გერმანია, ბერლინი... და თუ დაიჯერებთ, ბრეხტზე მათი შეხედულებაც 180 გრადუსით შევცვალეთ.

— და ამაში ბატონი რობერტ სტურუას განუმეორებელი რეჟისორული ხედვა იყო ხორცშესხმული...

— განუმეორებელი რობერტ სტურუასი, რომელმაც ბრეხტის ,,კავკასიურ წრეს" სულ სხვა სული შთაბერა და არაჩვეულებრივი თეატრალური ფოიერვერკი წარმოადგინა...

— ბრეხტი და კავკასია, საქართველო?

— ქართველებზეა ეს დაწერილი, სახელები, გვარები ქართულიცაა და განსხვავებულიც. თუმცა, დიდი და ახლო კავშირი აქვს საქართველოს ისტორიასთან, მაგრამ დრამატურგიულად მოარგო ბრეხტმა როგორც შეეძლო... მთავარი ისაა, რომ ეს სპექტაკლი საქართველოსადმია მიძღვნილი... რომ ეს ,,მოსაწყენი" სტურუასა და მსახიობთა ანსამბლის ტანდემი იყო, განუმეორებელი ტანდემი. ძალიან სახიფათო იყო ლონდონში რიჩარდით და მეფე ლირით სადღაც, უცნობი საქართველოდან ჩასვლა. ხომ იცით, როგორი ეჭვიანი ხალხია იქ, ინგლისში სულ ზეპირად იციან სად, ვინ ითამაშა შექსპირი, ბარელიეფები და სურათებია გამოფენილი თეატრის ფოიეში შექსპირის გმირთა შემსრულებელი მსახიობებისა... იქ ისეთი საარაკო შეფასება მივიღეთ... ჩვენი სურათებიც შეემატა გალერეას... და აქ საქართველო გამოდიოდა გამარჯვებული, ჩვენი დიდი თეატრალური კულტურა. ჩვენ ეს შევძელით, თორემ საქართველოზე მაყურებელთაგან ძალიან ცოტას თუ სმენოდა რამე... სტალინს თუ ახსენებდი, მერე თუ მიხვდებოდნენ... დიახ, მაგრამ ჩვენი, მეც და ბატონი რობიკოს უსაყვარლესი დადგმა და როლი იყო პოლიკარპე კაკაბაძის ,,ყვარყვარე", იგი ბრეხტზე და შექსპირზე ადრე ავიდა ჩვენი თეატრის სცენაზე. სულ სხვა გააზრებით დადგა იგი რობერტ სტურუამ და მეც სულ სხვა გააზრებით ვთამაშობდი მას... ამ სპექტაკლმა დროს გაუსწრო...

— თქვენ ფიქრობთ?

— დიახ.

— და ყვარყვარეები მერე მოვიდნენ?

— ისინი ყოველ დროში არსებობდნენ... საუბედუროდ, მოხდა ისე, რომ სპექტაკლი გადაღებული იყო და წაიშალა... მთავრობაში ამ ,,ყვარყვარეს" გაშვება მაინც და მაინც არ უნდოდათ. ძალიან არ უნდოდა მოსკოვსაც...

— მოსკოვთან თქვენი ურთიერთობა?

— ძალიან უყვარდათ ჩვენი თეატრი, დიდი პატივით გვიღებდნენ. იგი ძალიან თეატრალური ქალაქია. აქ ხდებოდა ჩვენი პირველი გამოცდა. მოსკოვი ბრწყინავდა რეჟისორებით, ტრადიციებით, შესანიშნავი თეატრმცოდნეებით.



რა არ ჩაგვიტანია, ,,სამანიშვილის დედინაცვალიც" კი...

— რუსულ სცენებზე ხომ არ გითამაშიათ?

— მხოლოდ და მხოლოდ კინოფილმებში. დიდი ხანი არაა, რაც გადაიღეს კინოსერიალი, რომელშიც გინეკოლოგიური საავადმყოფოს ექიმის როლს ვთამაშობდი. ახლა ჩვენი ტრაგედიაა, ამოდენა რეჟისორები, ამოდენა მსახიობები უძრავად არიან... ერთადერთი კინო გადაიღო გიორგი შენგელაიამ, ბიძინა ივანიშვილმა დააფინანსა, კომედია ,,მიდის მატარებელი". დიდებულ საქმეს აკეთებს ივანიშვილი, გუშინ ვიყავი და ვიამაყე იმ მშვენიერი, გრანდიოზული პარკით, რომელიც მას გაუკეთებია ქობულეთის მიმდებარედ. აი, ქართველი კაცი. თბილისში დანგრევის პირას მისული თეატრები აღადგინა...

— ბატონო რამაზ, რას ფიქრობთ თეატრის დღევანდელობაზე, კულტურის, განათლების სფეროში მიმდინარე რადიკალურ გარდაქმნებზე?

— სიმართლე გითხრათ, ასეთ რამეებში არ ვერევი, რადგან დილეტანტური შეფასება გამომივა მხოლოდ. ცოტა უნდა მოვიცადოთ, შედეგს დაველოდოთ. რეზულტატი რას მოუტანს სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს. სასიამოვნო არ არის ეს შეხლა -შემოხლები, მაგრამ იქნებ შედეგმა გაამართლოს...

— ბატონო რამაზ, ქობულეთში ამ ადრიან გაზაფხულზე ჩამოხვედით. ზაფხულში?

— ქობულეთი ჩემს ბავშვობას მაგონებს. არდადეგებზე ორი თვე ბებიაჩემთან ვიყავი იმერეთში, ერთი თვე კი ,,კურზალის" გვერდით... ვითხოვე კიდეც, მაჩვენეთ ,,კურზალი" მეთქი...

— ჯერჯერობით უცვლელად დგას.

— დიახ, და... თუ ღმერთმა დღეგრძელმყო, რა თქმა უნდა, ჩამოვალ... ბატონმა თემურმა მომიპატიჟა. ჩვენ მეგობრები ვართ. ორი დღით ჩამოვედი და არაფრით არ მირჩია უკან ასე ჩქარა დაბრუნება. რას იზამ, სასიამოვნო მასპინძლის ტყვეობაში გახლავართ, რატომღაც ასე მგონია, უწინ ქობულეთში პლაჟიც უკეთესი იყო... ფერადფერად კენჭებს ვაგროვებდით და თბილისში მიგვქონდა. საოცარი იყო, სასწაულივით... დღეს აღარაა, მაგრამ ქობულეთის პლაჟი ყოველთვის სასურველი და ანდამატურია... რამდენი შენდება, თუნდაც აგერ, ყოფილი სანატორიუმის ადგილას უნიკალურ, ევროსტანდარტის სასტუმრო-კლინიკას აშენებს ბატონი თემური. საოცარი ავეჯიცა და სამედიცინო ტექნიკაც აქვს შეძენილი. ვნახე კიდეც.... ისეთ ხალხს, როგორიც თემურ ჭყონია, ბიძინა ივანიშვილი და ბადრი პატარკაციშვილია, თავიანთი უანგარო სიკეთისათვის ცოტა მეტი მოფერება სჭირდებათ, ნუ გავბრაზდებით... ჩვენ სხვა, მათი მსგავსი არა გვყავს, რაზეა შექმნილი ,,მეფე ლირი"? უმადურობაზე... ეს უმადურობა მაგიჟებს, ჩვენს ქვეყანაში იციან ხშირად. იგივე რობიკო სტუტუა, რეები აქვს გაკეთებული... საქართველოს კულტურა და ხელოვნება მსოფლიოს უჩვენა. თეატრის მსოფლიო მნიშვნელობის ნოვატორია. გთხოვთ, აუცილებლად დაწეროთ... აუცილებლად!

— და თქვენ მოისმენდით ეთერში რობერტ სტურუას განცხადებას, მას ასე გაბედულს და რისკიანს გაცნობიერებული აქვს დღევანდელობისა, ვარჩევ სიტყვებსო, განაცხადა, რას ნიშნავს ეს?...

— რობიკოს ვიცნობ იმ დღიდან, რაც თეატრში მოვიდა. პირველი დღიდანვე ჩვენს წრეში შევიყვანეთ, ეს იყო ეროსის, გურამის, ბადრისა და სხვათა სამეგობრო... მან დადგა დიდად გახმაურებული ,,სეილემის პროცესი" და ვიტყოდი, რომ ძალიან მაღალი ხარისხით. თავისი გააზრება აქვს, ნიჭიერიცაა, ღრმად ერუდირებული, მუსიკა ესმის და ხატავს კარგად. მისი დადგმები მიტომ იყო ასე ხორცსავსე, მიტომ ვიმარჯვებდით, მიტომ მოიპოვა მსოფლიო ავტორიტეტი. ძლიერი რეჟისურა იყო. ძლიერი თაობაც დავხვდით, აგერ გია ყანჩელი, ბიძინა კვერნაძე, გვყავდა გოგი მესხიშვილი, შველიძე, აი, ეს ხალხი მოიკრიბა რობერტმა გარშემო. ეს იყო პროფესიონალური თეატრი და დღეს რობერტ სტურუამ რომც არაფერი გააკეთოს, სულ თავზე ხელი უნდა უსვა და მადლობა უხადო...

სტურუამ სრულიად ახალი სიტყვა თქვა და მსოფლიო აალაპარაკა. ეს არაა ბედნიერება და საამაყო? არ შეიძლება, უმადური არ უნდა იყო. ის კიდევ შექმნის, თეატრში ახალი თაობა მოვიდა, ნიჭიერი, მზარდი... სახელი რომ გაუთქვან მარტო თეატრს კი არა, ჩვენს სამშობლოს! ამიტომ რობერტ სტურუას თავი დაანებოს ყველამ! ახლა ისიც გავიგე პატარკაციშვილზე დაიწყეს რაღაც. რა, წაართვა რამე საქართველოს? წავა და კარგად ბრძანდებოდეთ, გვეტყვის. რას მოიგებ მაგით. ფული არ ექნება და ვერ იცხოვრებს თუ? ასე რომ, ყოყოჩობას თავი დავანებოთ სუყველამ. ენა უძვლოა და ყველაფერს იტყვის.

— რას მოუწონებდით და რას დაუწუნებდით ჩვენს მთავრობას, როგორც მოქალაქე და როგორც დიდი ხელოვანი, რის დეფიციტს განვიცდით?

— ჩვენს მთავრობას მეტი დაფიქრება სჭირდება. საქართველო დღეს ისეთ დღეშია, პატარა შეცდომაც კი შეიძლება საბედისწერო გახდეს. ასჯერ თუ არ გავზომავთ, სამჯერ მაინც უნდა გავზომოთ. ამის დეფიციტი აქვს როგორც პირველ ხელისუფალს, ისე მის მომდევნოებს, თუმცა ბევრს კარგს აკეთებენ, მაგრამ ისე არ უნდა გამოვიდეს, ძროხამ იწველა, იწველა და ბოლოს ფეხი ჰკრაო...

— სიყვარულის გარდა საქართველომ რა მოგცათ? ანუ თქვენი სამთავრობო შეფასება?

— სავსე მაქვს მკერდი ,,ჟეშტებით", ორდენებით — ყველანაირით, რაც არასდროს მითხოვია...

— იქნებ ცოტა რამ თქვენს მეუღლეზე.

— ნატაშა კომახიძე - ჩიკვაიძისა.

— რას ამბობთ, ქართული გენი აქვს?

— მამამისი დიდი ხანია ცხოვრობდა რუსეთში. დედა პოლონელი თუ უკრაინელი ებრაელი, იანიუკი... თითქმის 45 წელია ერთად ვართ. მეტალურგია პროფესიით, დიდი ფანტაზიები აქვს. გვაქვს სახლი ლისის ტბის ქვემოთ, მხატვრების უბანში. სახსრები რომ შემოგველია, მისი მეცადინეობით სახლს სასტუმრო მივაშენეთ და ამით ვარსებობთ...

— თქვენი თანავარსკვლავედი, თქვენი მეგობრები?

— ისინი ბევრნი იყვნენ და შემომეცალნენ: სალომე ყანჩელი, ბუხუტი ზაქარიაძე, ეროსი მანჯგალაძე, ბადრი კომახიძე, გოგი გეგეჭკორი, ედიშერ მაღალაშვილი, კარლო საკანდელიძე და გურამ საღარაძე შემომრჩნენ. ჯემალ ღაღანიძე კი ჯერ ახალგაზრდაა.

ბატონ რამაზს კურიოზის გახსენება ვთხოვეთ... ზოგჯერ სადღეგრძელოში იმდენი მოგივა ექსპრომტად, ახლა კი ვერც ერთს ვერ გავიხსენებო, ბოდიში მოიხადა... საუბარი გაგვიგრძელდა, თუმცა ეს იყო ეპოპეა, რომელიც მიდის და რაღაც გრანდიოზულს ტოვებს.

„... ერთადერთი კინო გადაიღო გიორგი შენგელაიამ, ბიძინა ივანიშვილმა დააფინანსა, კომედია „მიდის მატარებელი". დიდებულ საქმეს აკეთებს ივანიშვილი, გუშინ ვიყავი და ვიამაყე იმ მშვენიერი, გრანდიოზული პარკით, რომელიც მას გაუკეთებია ქობულეთის მიმდებარედ. აი, ქართველი კაცი. თბილისში დანგრევის პირას მისული თეატრები აღადგინა..."

ეთერ ჩხაიძე

,,აჭარა P.S."
2007 წლის 15 მარტი №11 (494)

რედაქციისაგან: რამაზ ჩხიკვაძე დიდი დანაკლისია ქვეყნისათვის, მართალია იგი სამუდამო გალაკტიონისეულ ვარდისფერ გზას გაუყვა, მაგრამ მან სიცოცხლეშივე დაუდგა ძეგლი უკვდავებას... თანავუგრძნობთ ბატონი რამაზის ყველა ახლობელს, თანამოაზრესა და სრულიად საქართველოს.

„რევოლუციის გაგონება არ მინდა"

(მეორე გვერდიდან)

თურმე, თბილისელები დასანახად ვეღარ იტანდნენ.

არჩევნებამდე ორი კვირით ადრე დავინახე, რომ ამან საზოგადოების ისე განაწყენება მოახერხა, - ხმებს ვერ აგროვებს. ვუთხარი - ისე ჩანს, არჩევნებს ვერ მოიგებ-მეთქი. თავიდან იხტიბარს არ იტეხდა, მაგრამ არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე გამომიტყდა, მძიმედ არის საქმეო. უკვე მივხვდი, რაც ხდებოდა, მაგრამ დაწყებულის გაწყვეტა და პროცესიდან გამოსვლა ვერ ვიკადრე, მაგრამ კონტაქტი შევამცირე. ძალიან შემრცხვა ჩემი თავისა ამ ყველაფრის შემდეგ. განვიცადე, რომ სწორი პოზიცია ვერ დავიჭირე დროულად. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, ინაუგურაციის დღეს დავურეკე და ვუთხარი, რომ ერთმანეთს ვემშვიდობებოდით. იმ წუთში ძალიან შეცბა და მითხრა - მტოვებო? მე კი ვუპასუხე, რას ნიშნავს, გტოვებ - ინაუგურაციის დღე გაქვს, არჩევნებს ხომ არ იწყებ-მეთქი. ასე დამთავრდა ეს ამბავი.

- როგორ ფიქრობთ, ხელისუფლებამ ნდობა იმის გამო ხომ არ დაკარგა, რომ 2004 წლიდან მოყოლებული, მიხეილ სააკაშვილს ერთპიროვნული ძალაუფლება ჰქონდა? პარლამენტში ნაციონალურ მოძრაობას მუდმივად გაჰყავდა საკონსტიტუციო უმრავლესობა, ხოლო ყველა ადგილობრივ არჩევით ორგანოში — უმრავლესობა, რაც სახელისუფლო პარტიას საშუალებას აძლევდა, არავისთვის გაეწია ანგარიში და თვითნებური გადაწყვეტილებები მიეღო.

- გეთანხმებით. როდესაც მე ვამბობ, რომ აბსოლუტური უმრავლესობით მოვალ, ვგულისხმობ საკონსტიტუციო უმრავლესობას პლუს ერთი. ჩემთვის იდეალურია პარლამენტი, სადაც სამი პარტიაა და არც ერთს მათგანს არ აქვს 50%. ორპარტიული პარლამენტი არ მიმაჩნია საუკეთესო ვარიანტად. ოთხიც შეიძლება იყოს, ხუთიც და მეტიც, მაგრამ ვფიქრობ, რომ პარლამენტში ყველაზე ეფექტური იქნება სამი პარტია.

ამ ეტაპზე საკონსტიტუციო უმრავლესობის აუცილებლობას იმიტომ ვხედავ, რომ, უფრო პატარა გუნდით არსებით სისტემურ ცვლილებებს ვერ განვახორციელებთ, ვინაიდან ჩვენი და ნაციონალების ხედვები ძირეულად განსხვავდება ერთმანეთისგან. არადა, პირველი, რაც უნდა გავაკეთოთ, აუცილებელია, რომ კონსტიტუცია გავმართოთ.

- როგორი იქნებოდა კარგი კონსტიტუცია თქვენთვის? რა პრეტენზია გაქვთ ამ კონსტიტუციასთან?

- ამათ ხელწერას ვხედავ - როცა უნდათ და როგორც უნდათ, ერთ ღამეში ისე გადაწერენ და მოირგებენ კონსტიტუციას, რომ ხელისუფლებაში დარჩნენ და მიაღწიონ სინგაპურიზაციას, თუ რაღაც ასეთს... მაგათ რომ ჰკითხო, სულ ეგენი უნდა იყვნენ და იყვნენ. კარგი ის კონსტიტუცია კი არ იქნება, რომელსაც მე დავწერ, არამედ, ის, რომელზეც საზოგადოება შეთანხმდება. ასევე, უნდა შედგეს - რასაც მიშასაც ვთავაზობდი - ქვეყნის განვითარების სტრატეგიული გეგმა: რა უნდა გაკეთდეს დასავლეთში, აღმოსავლეთში, მთაში, ბარში... ეს გეგმა უნდა შეადგინონ პროფესიანალებმა და ის მისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოების ყველა წევრისთვის. მე კი მაქვს ჩემი წარმოდგენა, მაგრამ მარტო არაფერს გადავწყვეტ, საზოგადოებამ უნდა გადაწყვიტოს, როგორი წესით სურს ცხოვრება.

- მიხეილ სააკაშვილი საკონსტიტუციო უმრავლესობის აუცილებლობას ხსნიდა იმით, რომ ქვეყანაში სწრაფ და ეფექტიან რეფორმებს მხოლოდ ერთიანი, შეკრული გუნდი გაატარებდა. პრეზიდენტის გადაწყვეტილებები არც მთავრობაში ფერხდება და არც პარლამენტში, მაგრამ ამ რეალობამ შეიწირა დემოკრატია. ხომ არ სჯობდა, რეფორმები უფრო ნელა, დებატებისა და დისკუსიების ფონზე წარმართულიყო, ასეთ რეჟიმში მუშაობა მოსახლეობას ბევრი თვითნებური გადაწყვეტილებისგან დაიცავდა? ის არგუმენტი, რაც თქვენ ბრძანეთ, ზუსტად ემთხვევა სააკაშვილის არგუმენტს.

- რეფორმების ექსპორტიორი ქვეყანა ვართო, რომ აცხადებდნენ, რეალურად, ორი რეფორმა გაატარეს და ორივე დიდი ხარვეზებით, რაზეც ზემოთაც გესაუბრეთ. ამის გარდა, მათ არც ერთი რეფორმა არ განუხორციელებიათ. მართვის გამოცდილება არ გააჩნიათ, არც იციან და ვერც შეიძენენ ვერასდროს. რაც მოხდა, ამათ სიჩქარის გამო კი არ მოუვიდათ, არამედ - უცოდინრობით. ვერ დავწამებ, რომ არ უნდოდათ. ბევრი მეუბნებოდა, ესენი ქვეყნის

დასანგრევად არიან მოსულებიო. მე ამას ვერ ვიზიარებ. ბევრ რამეს მათი უმეცრებითა და თავისებურებით ვხსნი. ახლა თქვენ მეუბნებით, რომ რასაც ისინი ამბობდნენ, თქვენც იმავეს ამბობთ და რატომ უნდა დაგიჯეროთო. რამდენიც უნდა ვირტყა გულში ხელი, რა თქმა უნდა, თეორიულად ამის საფრთხე არსებობს. თუმცა, იმისთვის, რომ მენდოთ, წარსულში უნდა გავიხედოთ, ჩემი გავლილი გზა უნდა გაითვალისწინოთ - რას მივაღწიე და რა დამოკიდებულება მაქვს ჩემი ქვეყნის მიმართ.

შეიძლება, მსოფლიოში ვერ ნახოთ მაგალითი, როცა კაცს პოლიტიკა კატეგორიულად არ უნდოდა და მაინც პოლიტიკაში მოვიდა. როცა ვამბობ, რომ ევროპელები შეიძლება გავაკვირვო დემოკრატიით, ვგულისხმობ იმას, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა და ბევრი რამის გაკეთება შედარებით იოლად შეიძლება. თუმცა, მე მეოცნებე ვარ, მაგრამ პრაგმატიზმიც მყოფნის და კონსერვატიზმიც. პოლიტიკაში რადგან მოვედი, ესე იგი, მაქვს განცდა, რომ შემიძლია, ეს მოვახერხო.

არჩევნებამდე ორი კვირით ადრე დავინახე, რომ ამან საზოგადოების ისე განაწყენება მოახერხა, - ხმებს ვერ აგროვებს. ვუთხარი - ისე ჩანს, არჩევნებს ვერ მოიგებ-მეთქი. თავიდან იხტიბარს არ იტეხდა, მაგრამ არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე გამომიტყდა, მძიმედ არის საქმეო. უკვე მივხვდი, რაც ხდებოდა, მაგრამ დაწყებულის გაწყვეტა და პროცესიდან გამოსვლა ვერ ვიკადრე, მაგრამ კონტაქტი შევამცირე.

- და მაინც უნდა ჩაგეძიოთ. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიას ცუდად დაებედა ე.წ. "აბსოლუტური უმრავლესობის" სინდრომი. შეუძლებელია, დავივიწყოთ, რომ პარტიები ხელისუფლებაში მოდიოდნენ დიდი უმრავლესობით და დიდი ნდობით, მაგრამ მიდიოდნენ პოლიტიკური კატაკლიზმებით. მათ ადგილს იკავებდა ახალი უმრავლესობა — იმავე პერსპექტივით. თქვენ საქართველოს მოსახლეობას ჰპირდებით, რომ აბსოლუტური უმრავლესობით მოხვალთ და ორ—სამ წელიწადში არსებით რეფორმებს გაატარებთ. თავად ეს უმრავლესობა ხომ არ აღმოჩნდება საფრთხე, ერთი მხრივ, თქვენთვის და, მეორე მხრივ, მოსახლეობისთვის? უკეთესი ხომ არ იქნება, რომ მოჯადოებული წრე გაირღვეს და ძალთა ბალანსზე დამყარებული პარლამენტი ჩამოყალიბდეს? თუნდაც, შეიქმნას კანონი, რომელიც გამარჯვებულ პარტიას მანდატების რაოდენობის ზედა ზღვარს განუსაზღვრავს და კოალიციის შექმნას აიძულებს?

- ძალიან კარგი კითხვაა. ზუსტად ამას ვაპირებ, როცა კონსტიტუციურ ცვლილებებზე ვსაუბრობ. ჩვენ ისეთი კონსტიტუცია უნდა შევქმნათ, რომ გამოვრიცხოთ რისკები. მაგრამ ამ ეტაპზე, ჩემთვის იდეალური ბალანსით - ერთი მესამედით - რომ მოვიდეთ - ქვეყანაში არაფერი შეიცვლება. მე კი ძირეულ ცვლილებებს ვგეგმავ და ამის შემდეგ ხელისუფლებიდან წავალ. აქამდე ეს არ მითქვამს: ვაპირებ, გადავიდე ჩვენ მიერ შექმნილი მთავრობის ოპოზიციაში. როცა ჩემს პირველ წერილში ვთქვი, რომ ორი-სამი წლის შემდეგ წავალ. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემი მთავრობის პირველი ოპონენტი მე ვიქნები და ყველანაირად გავაძლიერებ ოპოზიციას, რათა სათანადო კონტროლი გავუწიო ხელისუფლებას. ამის პრეცედენტი მინდა, რომ შევქმნა.

- ახლა თქვენ ძალიან მნიშვნელოვანი განცხადება გაკეთეთ, რომელიც გულზე ჩამოკიდებული ლოდივით გექნებათ: გინდათ, მოხვიდეთ უმრავლესობით, რათა შექმნათ კონსტიტუცია და ქვეყნის მართვის მოდელი, რომელიც ერთპარტიულ მართვას და ავტორიტარიზმს გამორიცხავს.

- დიახ, კონსტიტუცია ძალიან მნიშვნელოვანია. მაგრამ ავტორიტარიზმისგან მხოლოდ კონსტიტუცია ვერ დაგვიცავს. საზოგადოებაც მზად უნდა იყოს. სწორედ საზოგადოების გაძლიერებას ვაპირებ, ეს არის ჩემი უმთავრესი მიზანი.

- ბევრი დარწმუნებულია, რომ თქვენ არჩევნების მოსაგებად საკმარის ხმებს მოიზიდავთ; ასევე, ბევრი ამბობს, რომ საარჩევნო გარემოს შეცვლის გარეშე არჩევნებში თქვენს მონაწილეობასაც კი ეკარგება აზრი, რადგან ნაციონალური მოძრაობა მაინც იმ შედეგს დადებს, რაც სჭირდება. როგორ აპირებთ, აიძულოთ ხელისუფლება, შეცვალოს საარჩევნო გარემო? თუ მიგაჩნიათ, არსებულ პირობებშიც შესაძლებელია არჩევნების მოგება? საკუთარი პოლიტიკური გუნდის ჩამოყალიბებას თუ აპირებთ?

- გუნდის ჩამოყალიბებას აუცილებლად ვაპირებ. ცხადია, პარტიაც უნდა ჩამოვაყალიბო. მართალია, არსებობს განცდა, რომ ეს შეუძლებელია, მაგრამ მჯერა, რომ ეს შესაძლებელი იქნება.

ვფიქრობ, ხელისუფლება ლეგიტიმურ ჩარჩოში მოექცევა. ამის რწმენას არ ვკარგავ. რაც შეეხება საარჩევნო გარემოს: მაგალითად, მზად ვარ პირადად დავაფინანსო ბიომეტრიული პასპორტები, რაკი მთავრობამ განაცხადა, რომ ამის ფული არ აქვს. თუმცა, მიმაჩნია, რომ არჩევნებს არსებულ პირობებშიც მოვიგებთ, სულ რომ არაფერი შეიცვალოს.

ეს კანონმდებლობა მაშინა არის საშიში, თუკი ჩვენი და მათი შედეგი ახლოს იქნება ერთმანეთთან. ნაციონალები რეალურად მიიღებენ ათიდან ოც პროცენტამდე ხმებს. იმისათვის, რომ ამერიკამ და ევროპამ შედეგები ლეგიტიმურად ცნოს, მაქსიმუმ, ამ პროცენტის გაორმაგება შეუძლიათ და მეტი - არა. მე უკიდურეს ვარიანტს გეუბნებით, ამის მეტს ვერ შეძლებენ.

- 2003 წელს მიხეილ სააკაშვილმა თავისუფლების მოედანზე შეკრებილ ხალხს მიმართა, თუ შევარდნაძე ხალხის ნების წინააღმდეგ წავა, ის მიიღებს რევოლუციასო. თქვენ განაცხადეთ, რომ სააკაშვილს არ უნდა მივცეთ ქვეყნის მართვის გაგრძელების უფლება საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ. თუ იგი მაინც ვერ შეელევა ძალაუფლებას, ამ შემთხვევაში, თქვენს ლექსიკონში ხომ არ გაჩნდება სიტყვა "რევოლუცია"?

- ძალიან არ მინდა ეს სიტყვა გამოვიყენო. თუ ამ სიტყვის გამოყენება მომიხდა, ჩავთვლი, რომ ჩემი მოსვლა პოლიტიკაში მცდარი იყო. მაგრამ, მე მგონია, რომ დროულად და სწორად მოვედი და ხელისუფლების შეცვლას ყოველგვარი რევოლუციის გარეშე მოვახერხებთ. თუ საკაშვილი არჩევნების გაყალბებას სხვადასხვა მექანიზმით მოახერხებს, შევძლებთ მისი არალეგიტიმურობის დამტკიცებას. ის ხელისუფლებაში გაყალბებული არჩევნებით ვერ მოვა. სიტყვა "რევოლუციის" გაგონება არ მინდა და არც სიტყვა "ქუჩის" ხსენება მინდა. ხელისუფლების არჩევნებით შეცვლის პირველი პრეცედენტი უნდა შევქმნათ. ეს ერთ-ერთი დიდი წარმატება იქნება.

- ბევრ ადამიანს გაუკვირდა თქვენი მხრიდან თანამშრომლობის შეთავაზება ვანო მერაბიშვილისადმი, რომელიც ხელისუფლებას საკუთარ ხერხემლად მიაჩნია. მერაბიშვილი - ან პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებელი სხვა პირები - როგორ შეიძლება სასარგებლო და მისაღები აღმოჩნდნენ იმ საზოგადოებისთვის, რომელიც თქვენგან დღევანდელი სისტემის ძირფესვიანად შეცვლას ელოდება?

- როიტერმა ასეთი შეკითხვაც კი დამისვა, მთავრობაში თუ მოიაზრებთ მერაბიშვილსო. ცხადია, რომ არა. რა თქმა უნდა, ეს არ მქონდა მხედველობაში, როცა მერაბიშვილს მივმართე. დღევანდელი ხელისუფლების საკვანძო ფიგურები ახალ მთავრობაში არავითარ შემთხვევაში არ მოიაზრებიან. მათ დათვური სამსახური გაუწიეს თვითონ სააკაშვილს და დღეს რაც გვჭირს - ამაში მათი დიდი წვლილია. მერაბიშვილისადმი ჩემი მიმართვის არსი იყო ის, რომ თუ სწორად მოიქცევიან და კანონის ფარგლებში დარჩებიან არჩევნებამდე - რისი დიდი სურვილიც მაქვს - მათ მიეცემათ საშუალება, რომ, თუნდაც, პოლიტიკური პარტია შექმნან, თუნდაც, იყვნენ ბიზნესში, ან სხვა რამე მოიფიქრონ. მაგრამ ჩვენს მთავრობაში არ იქნებიან.

(დასასრული მომავალ იხილეთ ნომერში)

გაზეთი არის საქართველოს
რეგიონული მედიის ასოციაციის
სრულუფლებიანი წევრი

წერილი სრულიად საქართველოს მთავრობას და ქართველ ხალხს

მინდა მოგმართოთ და გკითხოთ: ვის ეკუთვნის რუსეთი, თურქეთი, საბერძნეთი, იტალია, საფრანგეთი, ამერიკა და სხვა ქვეყნები. ვინ არიან მათი ძირითადი მაცხოვრებლები? ვის ეკუთვნის საქართველო, ქართული მიწა? ქართველს თუ ვიღაც უცხოეთიდან მოსულს?.

ძალიან მაინტერესებს, რატომ აქვთ გადამთიელებს ჩვენზე მეტი უფლებები ჩვენს ქვეყანაში, რატომ შეუძლია მას აკეთოს ის, რაც მოესურვება, ჩვენ კი შეზღუდული გვქონდეს მათ გამო ყველაფრის უფლება. ასეთი მძიმე შემთხვევაა ბათუმში ვაჟა-ფშაველას 28 ნომერში. თურქმა, ერონ აქსოიმ ჩვენს ეზოში იყიდა ძვირფასი სახლი, რომელიც სახელმწიფო ძეგლთა დაცვის სამინისტროს ნუსხაშია. (სახლი კი არა, სასახლე „ერმიტაჟი," თუმცა ეს სასახლე ეკუთვნოდა... ასლან აბაშიძეს, ჩვენ ასე ვიცოდით, რადგან ის ფიგურირებდა სახლის გასხვისებაში.). მან წინა მხრიდან მოშალა ეზოსთან დამაკავშირებელი კარები, წაშალა წარწერა, რომელიც აღნიშნავდა სახლის აშენების თარიღს, ეგ კიდევ არაფერი, მან სახლი გადააკეთა, ეზოდან მოშალა სახანძრო კიბე, რომელიც ეკუთვნოდა მთლიან სახლს, ჩაკეტა საერთო სარგებლობის სასიცოცხლო მნიშვნელობის შესასვლელ-გასასვლელი, გადააკეთა ეზოში შესასვლელი ჭიშკარი ისე, რომ სახანძრო მანქანები ეზოში ვერ შემოვიდნენ, მაღლა სართულზე ვერ ავიდნენ, რადგან კიბის მოშლასთან ერთად მაღლა ასავლელი კარებიც გააუქმა. არავის არაფერი ჰკითხა, ჩვენ ძირითადი მაცხოვრებლები კი მის დაუკუთხავად კუთვნილ სახლში ერთ ლურსმანსაც ვერ ვაჭედებთ. ზემოთ აღნიშნულ მისამართზე ვცხოვრობ 54 წელია, ე. ი. ნახევარ საუკუნეზე მეტი. დავიბადე ბათუმში 1929 წლის 6 აგვისტოს. ვფიქრობ ეს საკმაო „სტაჟია", რომ უფლება ამ ქალაქში ცხოვრების უფლება მქონდეს. თუმცა, დღეს ამას მნიშვნელობა არა აქვს, რამდენი წელია ამ ქალაქში და კერძოდ ამ მისამართზე ვარსებობ. დღეს უფლებები ფულით განისაზღვრება (რა ვქნათ „კანონია" ასეთი).

ვიმეორებ, რევაზ მიშველაძის სიტყვებს, რაც ჩვენს მწარე სინამდვილეს ადასტურებს: „საქართველოს დღეს გააჩნია კატასტროფული დემოგრაფიული მდგომარეობა". დიახ, მიმაჩნია ყველა ქვეყნის ადამიანმა უნდა იცხოვროს იქ, სადაც მას სურს მხოლოდ სამშობლო უნდა იყოს ერთი. ჩვენ, ქართველები გულმოწყალენი ვართ, ყველას ვღებულობთ კეთილი გულით, მაგრამ შემდეგ მათი უმცირესობა ხდება ორი ჯაყოს მსგავსი, ამის მაგალითი ჩვენი ეზოა, სადაც მთელი სამეზობლო შეუმჩნევლად გავხდით ეროლ ფაშას ხიზნები და მალე ალბათ მის დაუკუთხავად ჟანგბადითაც ვეღარ ვისარგებლებთ. ჩვენი ეზოდან გაასახლა და ოჯახები და მათ ფასდაუდებელ სახლში გროშები მიუგდო... ახლა კი...

ჯერი ჩვენზე დადგა, დარჩენილი ოთხი ოჯახი „გავჯიუტდით" და ბინების გაყიდვაზე უარი ვთქვით. ასე გავხდით ეროლ ფაშას ხიზნები, რომელმაც ეზო მთლიანად დაისაკუთრა, მეტიც, ცარიელ ადგილზე ოთახიც კი გაიკეთა, ხოლო ნებართვა ვისგან აიღო, არაფერი ვიცით. ეზოში შემოსულ-გასულს მისი ლაქია (მოურავი) აკონტროლებს. იგი ყველა წვრილმანს სასწრაფოდ მოახსენებს პატრონს. გვეკრძალება ბინის შეკეთება თუ არ ვკითხავთ მის მოურავს. ლურსმნის მიჭედების ხმა რომ გაიგონოს, გამორბის (18 მეტრითაა მისი სამფლობელო დაშორებული ჩვენს სახლს) და კითხულობს დოინჯშემოწყობილი: - რა ხდება? რა კეთდება? ეს კაცია თემელ მოურავი. სახლის გაყიდვა ხომ სასტიკად აკრძალული გვაქვს, „ჯერ ჩვენ უნდა შეგვეკითხოთ, გაძლევთ თუ არა სახლის სხვაზე მიყიდვის უფლებას" - ასეთია ჩვენი თურქი ჯაყოს კანონები! მას კი ჩალის ფასად უნდა შეისყიდოს ჩვენი ბინები. თუმცა ბინების გაყიდვა არც ერთს არ გვსურს, მაგრამ ის იძულებულს გვხდის დავტოვოთ საყვარელი ეზო-სახლი და შორს გადავიკარგოთ, თუნდაც ჯანდაბაში...

35 წელი ვემსახურე ხალხს, ვიდექი მათი ჯანმრთელობის სადარაჯოზე, ჩემი ასაკის მუხედავად დღესაც ხალხის სამსახურში ვარ, სიკეთეს ვაკეთებ. ბარბაროსებს ისიც აღიზიანებთ, რომ ვარსებობ.

ჩემი და ჩემი ქალიშვილის ბინა დაიწვა ხუთი წლის წინ, დღესაც გაურკვეველია ვინ ან რამ გააჩინა ხანძარი ბინაში, მაისში ღამის სამის ნახევარზე (ყველაფერი შეიძლება იფიქროს ადამიანმა). მიზეზი ის არის, რომ სახლი მეხანძრეებმა ვერ გადაარჩინეს, ეროლ ფაშას ახალი პროექტის გამო სადაც როგორც გითხარით, აღარც სახანძრო კიბეა და აღარც სხვენში ასასვლელი. ამ გადაკეთებ-გადმოკეთებას ემსხვერპლა ორი სახლი. მეხანძრეებმა ვერ შეძლეს ცეცხლის ჩაქრობა.

სახლის დაწვის შემდეგ გვესაჭიროება მისი აღდგენა. გვაქვს მერიის სიტყვიერი თანხმობა, რომ ჩვენს ჭერში სახურავს შიგნით შეგვიძლია დავასხათ რკინა ბეტონი, მაგრამ ჩვენი „ბოსი" ამის უფლებას არ გვაძლევს და დიდი ზარალიც მოგვაყენა. დავრჩით სახურავის გარეშე, შეგვიჩერეს მუშაობა. ძირითადად კედელს უკანა მხრიდან გავუსწორეთ წინა მხარე ისე რკინა-ბეტონი არ დაისხმებოდა, ამის სიტყვიერი ნებართვა მოგვცა ქალაქის მთავარი არქიტექტორის მოადგილემ. სახლის უკანა კედელი იყო ავარიული, ძეგლთა დაცვამ გადაიღო გაკეთებამდე სახლის ჭერის სურათები, რაც დაადასტურებს ჩემს სიმართლეს და იმასაც, რომ სახლს ესაჭიროებოდა სასწრაფოდ „შველა", თორემ შვიდი სული ნანგრევებში მოვყვებოდით.

ამის უფლებას არ გვაძლევს ჩვენი უცხოელი მეზობელი, ვერ გამიგია, რაში უშლის ხელს მას ჩემი სახლი, რა უფლება აქვს თქვას, არ მინდა რომ აშენებთო. ყველაფერს კანონის ფარგლებში ვაკეთებდით. ნუთუ მარტო ჩვენთვისაა კანონი გამოშვებული მთავრობისაგან? მას რატომ არ ეკითხებიან ვინ მისცა ნება რაც უნდა ის აკეთოს?!

შვიდი სული ერთ ოთახში ვცხოვრობთ და ვიძინებთ. უსახურავო სახლში ვცხოვრობთ და გვაწვიმს. ბარბაროსები სად არ რეკავენ, რომ ყველაფერი მოვშალოთ, გვთხოვენ მეზობლების ნებართვას, სად გვყავს მეზობლები? ისინი ხომ გაასახლეს! დარჩენილი ვართ ხუთი ოჯახი, აქედან ერთი რუსია და ისიც თურქივით წინააღმდეგია ჩვენი. დარჩენილი ოთხი ოჯახიდან სამი ხელს ვუწერთ ნებართვაზე (ორი მოწინააღმდეგეა, როგორც აღვნიშნე რუსი და თურქი). როცა სახლი დაიწვა, მაშინვე ვაჭრობა დაგვიწყეს, მოგვყიდე ეს ადგილი ჩვენო, რა თქმა უნდა, ეროლ ფაშა ჭკვიანია, ნახშირად ქცეულ სახლს კაპიკებში იყიდდა. ჩვენ შევძელით „დრანკის" სახლის წინა მხარე აგვეშენებინა სტანდარტული ბლოკებით იმავე ზომებში და სიმაღლეშიც აღვადგინეთ ორივე სახლი ნათესავ - მეგობრების წყალობით. სახლის სახურავი მერიამ გაგვიკეთა. ძეგლთა დაცვის სამმართველოს უფროსი კი ახლოსაც არ გაგვკარებია, არ უკითხავს, არ გამოუძიებია ვინ და რამ დაწვა სახლი, შენების დროს ეროლის მოურავი ისე გვავიწროებდა და ხელს გვიშლიდა, რომ ვერ შევძელით მისგან თავის დაცვა და ძველი კედელი გაუმაგრებელი დარჩა, როგორც ვთქვი, ეს კედელი და სხვენი გადაღებულია. დღეისათვის კაპიტალურად გაკეთებული, რის დანგრევასც მოითხოვს ეროლ ფაშა და მისი ლაქია თემელი...

როცა თბილისსა და ბათუმს შორის დავრბოდი, მიშველეთ ძეგლის ფანჯრებს ფარავენ, კედელი დაზიანდა მეთქი, არავითარი ყურადღება არ მომაქციეს, ექვსი წელი მოვანდომე ძეგლთა დაცვაში სამართლის ძებნას, მაგრამ ვერ ვიპოვე.

ყოფილი გორკის 10 ნომერში მცხოვრები ქათამაძემ მიიღო ნიკოლოზ რურუას ნებართვა (სამინისტრომ წერილიც კი გამოატანა, ამ კაცს რომ დახმარებოდნენ), მე კი არც მიმიღო და მეტიც, მომწერა, ქათამაძეს ნებართვა მიღებული აქვსო. დღესაც ვიბრძვი, როგორმე გადარჩეს მისი მომიჯნავე საერთო კლედელი, რომელიც დაფარულია სოკოთი, იშლება ბათქაში, თუმცა ეს ბატონ ნიკა რურუას არ აწუხებს, მას მარტო ის აწუხებს, თუ რატომ ვაწუხებთ ჩვენ ეროლ აქსოის.

სად არიან ადამიანთა უფლებების დამცველები, ქალაქის მთავარი არქიტექტორის მოადგილე, რომელმაც მშენებლობის სიტყვიერი ნებართვა მომცა, მაშინ, როცა ხელოვნურად შექმნილი ბარიერების გამო არც სიმაღლე ემატება და არც სიგანე (უკანა კედელს გაუსწორდა წინა კედელი). ხომ არ იყო ეს ხაფანგი ჩვენს წინააღმდეგ? ის არქიტექტორის მოადგილე დღეს მეგობრადქცეულ თემელს გვერდით უდგას, ეხმარება უცხოელს, ოღონდ ის იყოს ბედნიერი და ქართველების ბედი სულაც არ ანაღვლებს... ქართველებო, გავიხსენოთ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მაგალითი.

ბათუმი, ვაჟა-ფშაველას ქუჩა № 28-ში მცხოვრები
მერი ლაცაბიძე

ავარია რკინიგზაზე

ბათუმიდან თბილისისკენ მიმავალი შაქრით დატვირთული სატვირთო მატარებელი თბილისიდან მომავალ ინერტული მასალით დატვირთულ მატარებელს შეეჯახა. შედეგად, სამი ადამიანი დაშავდა. სამივე დაცვის პოლიციის თანამშრომელია, რომლებიც შაქრით დატვირთულ სატვირთო მატარებელს აცილებდნენ, მათ მსუბუქი დაზიანებები მიიღეს.

შემთხვევა გამთენიისას, ნატანების რკინიგზის სადგურთან მოხდა. მწყობრიდანაა გამოსული ორივე ელმავალი და რამდენიმე ვაგონი. თვითმხილველთა მტკიცებით, სარკინიგზო ავარია ერთ-ერთი მემანქანის მიზეზით მოხდა. ზარალი მილიონ ლარს აჭარბებს.

ხელოვნების ზეიმი „აჭარა P.S." - საგან

ორი დღის განმავლობაში, 21-22 ოქტომბერს, მედიაჯგუფი „აჭარა P.S." ხელოვნების მერვე საერთაშორისო ფესტივალის სატელევიზიო კონკურსს „შემოდგომის ჰარმონიას" მასპინძლობდა.

კონკურსი, რომლის ვიდეოჩანაწერი მალე ჩვენს ვებ-გვერდზე განთავსდა, მიზნად მედიაჯგუფი „აჭარა P.S."- ის პრომოუშენს ისახავდა.

პროგრამა ქობულეთის ჰიმნით ანსამბლმა „ქობულეთმა გახსნა". სტუმრებს მიესალმა მედიაჯგუფი „აჭარა P.S."-ის გენერალური დირექტორი ჯემალ მეგრელიძე და კონკურსის მონაწილე თითოეული კოლექტივის ხელმძღვანელს მადლობა გადაუხადა და წარმატებები უსურვა, მან ხაზგასმით აღნიშნა ნინოწმინდის მუსიკალური სკოლის დირექტორის ვარტუი მარაბიანის, მარნეულის გამგეობისა და კულტურის ცენტრის, ურეკის კულტურის სახლის ხელმძღვანელობის მხარდაჭერა.

პროგრამა ურეკის ბავშვთა ქორეოგრაფიული სტუდიის წევრებმა გახსნეს ბრწყინვალედ შესრულებული ცეკვა „ქართულით," დარბაზი მქუხარე ოვაციით შეხვდა სცენაზე ანსამბლ „ერისიონის" ახალგაზრდა თაობის გამოჩენას, რომლებსაც ჟიურიმ შესრულების მანერა და სასცენო აღკაზმულობა მოუწონა, ცეკვას ნინოწმინდელი კარინე არუთიუნიანის მიერ შესრულებული არაჩვეულებრივი სიმღერა ცვლის, კარინე კონკურსის „გამორჩეული შემსრულებლის" ტიტულის მფლობელი ხდება და ჯერი ქუთაისელებზე მიდგა, ანსამბლი „მტრედები 2-ის" ცეცხლოვანმა „განდაგანამ" და „მთიულურმა" მყისვე დაიპყრო მაყურებლის გული, მათ ჟიურის გულის მოგებაც შეძლეს და წარმატებული კოლექტივის ტიტული მოიპოვეს, მარნეულელებმა კი შესანიშნავად დადგმული „სვანური" და „მთიულური" ჩამოგვიტანეს, აქ უნდა აღინიშნოს, რომ ანსამბლ „ენგურის" ოცდასამი წლის ხელმძღვანელი ლევან ყურავა კონკურსზე ყველაზე ახალგაზრდა და პერსპექტიულ ქორეოგრაფად აღიარეს, ანსამბლი კი ნომინაციაში „გამორჩეული ქორეოგრაფიული კომპოზიცია - ინტერპრეტაციისთვის" დაჯილდოვეს.

თბილისის ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის სტუდენტს, ინდივიდუალურ შემსრულებელ ბექა ჩიკაშუას პრიზი საუკეთესო სიმღერის შესრულებისთვის გადაეცა, ხოლო გამორჩეული ხალხური ტრადიციული ნიმუშების წარმოჩენისთვის მარნეულის კულტურის ცენტრთან არსებული ვოკალური ანსამბლი „იბერია" დაჯილდოვდა, ფესტივალის აღმოჩენა გახდა ნინოწმინდის მუსიკალურ სკოლასთან არსებული ვაჟთა ანსამბლი „დოლები", რომელმაც მაყურებლის წინაშე ნამდვილი სანახაობა გამართა, კონკურსის კულმინაციაში კი ქუთაისის გ. ტყვაცირიას სახელობის ქორეოგრაფიული ანსამბლ „მტრედების" მიერ წარმოდგენილი „აფხაზურისა" და „ყაზბეგურის" ბრწყინვალე შესრულებამ ანსამბლს გამორჩეულისა და „მონატრებული აფხაზეთის" ტიტული მოუტანა. შესანიშნავი მომზადება აჩვენა შუახევის რაიონის ბუთურაულის სკოლასთან არსებულმა ანსამბლმა „იმედმა" და ნომინაცია „გამორჩეული ხალხური ტრადიციული ნიმუშების წარმოჩენა" დაამსახურა.

განსაკუთრებული პრიზი გადაეცა მარნეულელ უსინათლო ბიჭუნას შაბან მამედოვს, საორგანიზაციო კომიტეტმა მარნეულის კულტურის ცენტრის დირექტორი ლერი მუმლაძე კი კარგად მომზადებული კოლექტივების წარმოდგენისთვის დაჯილდოვა.

გარეგინ II-ე სომხეთ - საქართველოს ახალ საზღვარზე მიუთითებს

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „აჭარა P.S.“ №23 (619) 2011 წლის 18 ოქტომბერი)

სამების ეკლესია, რომლის მოვლა-პატრონობა ზაურ ფუტკარაძის ოჯახმა ითავა, ყოველდღიურად ღიაა ლოცვის მსურველთათვის. აქ სალოცავად მოდის არამარტო ქრისტიანი მრევლი, არამედ ისეთებიც ვინც ჯერ კიდევ მუსლიმანია, მაგრამ როგორც ქართველს, დიდი სურვილი აქვს ქრისტესმიერ გზას დაადგეს, მათ ოცნებად გახდომიათ სოფლისათვის ერთი მღვდელი, რომელიც კვირაში ერთხელ მაინც აღავლენს წირვა-ლოცვას. წალკის რაიონი არამარტო მდიდარია მიტოვებული, უყურადღებოდ დარჩენილი ეკლესია-საყდრებით, ასევე მდიდარია მოქმედი მონასტრებით, სადაც ბერ-მონაზვნები განდეგილ ცხოვრებას ეწევიან, სამწუხაროდ მრევლის სულიერ მდგომარეობზე აქ არავინ ზრუნავს. მწყემსთ თავისი ცხვარი აღარ ახსოვთ, ასეთი რამ ნორმალურ ქვეყანაში არ ხდება.

სამაგიეროდ, აქვე ვხედავთ სრულიად საწინააღმდეგოს. ბრძენთაგან ნათქვამია: „წმინდა ადგილი უპატრონოდ არ დარჩებაო." მათ მიმართ, ვინც ქართული ეკლესიის მიერაა მიტოვებული, ყოველდღიურ ყურადღებას იჩენენ თურქეთიდან მოვლენილი ხოჯები, იმამები. წალკის რაიონულ ცენტრში შეიქმნა მედრესე, „ყურან კურსი,“ სადაც მოზარდებს აინტერესებენ აქ შექმნილი პირობებით. ისინი უზრუნველყოფილნი არიან ბინით, საკვებით, მომავალში სწავლის გაგრძელების პერსპექტივით, რა თქმა უნდა თურქეთისათვის სასარგებლო იდეოლოგიით და არა ქართულით. ცალკეულ სოფლებს აქვს მეჩეთი, მედრესე, იმამი ყოველთვიური ხელფასით.

აქაურმა რამდენიმე ბავშვმა, რომლებიც სამების ეკლესიის ეზოში მოსულიყვნენ, საუბრისას მითხრეს, რომ მათ ქრისტიანულად უნდათ მონათვლა, მაგრამ მშობლები ჯერ არ შეთანხმებულან. მაშინ, როდესაც მშობლები საგონებელში არიან, ბავშვი სად გაუშვან, მედრესეში თუ ქრისტიანულად მონათლოს, როდესაც ადამიანი ასეთ ფრიად მნიშვნელოვან საკითხებზე ჯერ კიდევ ყოყმანობს, ხოჯა ყოველთვის ადგილზეა და „დარიგებას“ აძლევს, მღვდელი კი არსად ჩანს.

სოფელ საყდრიონის მცხოვრებლებმა დიდი მადლიერებითა და გულისტკივილით აღნიშნეს მამუკა კაპანაძის შესახებ, რომელიც მთელი მონდომებით ზრუნავდა აქაურ ეკლესიებში ღვთისმსახურების აღსადგენად, რომ სოფელს ჰყოლოდა მღვდელი, მოძღვარი, მაგრამ უშედეგოდ. - „სომხეთის პატრიარქის ვიზიტს ჩვენს მეზობელ სოფელში უკვე მისი წასვლიდან ორი კვირის შემდეგ, უმოკლეს დროში პირველი შედეგებიც მოჰყვა. ამ სოფელს მოევლინა სომეხი მღვდელი სომხურ ეკლესიაში წირვა-ლოცვის აღსავლენად. ჩვენ კი, ჩვენივე ქვეყანაში აღარავის ვახსოვართ, მიუხედავად ჩემი მრავალგზის თხოვნისა. ამ მხრივ ეპარქიის წინამძღოლთაგან ვერავითარი თანადგომა ვერ მივიღეთ“ — აღნიშნა ბატონმა მამუკამ.

ამ ერთ-ერთი და უპირველესი პრობლემით დაინტერესებულმა მივმართე დაბა წალკაში მდებარე ღვთისმშობლის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღოლს მამა დავითს (დავითაშვილი).

დიდად კმაყოფილი დავრჩი მასთან შეხვედრით, როგორც ღვთისმოსავ, ეროვნული ცნობიერების ადამიანთან. ჩემს მიერ დასმულ კითხვაზე, თუ რატომ არიან ქართული სოფლები, ეკლესიები, მრევლი სრულიად მიტოვებულნი ჩვენივ ეკლესიის წინამძღოლთაგან, რატომ არ ჰყავთ მოძღვარი, მაშინ, როცა ჩვენს ქვეყანაში სხვა სახელმწიფოები არ იშურებენ მოსახლეობის სულიერების დასაპატრონებლად არაფერს. მამა დავითი გულწრფელად დამეთანხმა და თავადაც დიდი გულისტკივილი გამოთქვა, რომ ეს საკითხი დიდი ხანია აწუხებს. მათ მონასტერს სხვა მონასტრების მსგავსად არავითარი მეურნეობა, შემოსავალი არ გააჩნია. სოფელში მღვდლის სამსახურს კი მცირედი თანადგომა მაინც სჭირდება, ტრასპორტის ხარჯი, საარსებო მინიმუმი. ჩვენი ეპარქიისაგან კი საამისო თანადგომა არ გაგვაჩნია, მიუხედავად იმისა რომ არაერთხელ დასმულა ეს საკითხი...

გამომშვიდობებისას მამა დავითმა დამლოცა და დასძინა, რომ ის ამ დიდად მტკივნეულ, ერისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხს კვლავ დასვამს მეუფის წინაშე.

ნებისმიერი წესიერი ადამიანი დამეთანხმება, რომ იმაზე დიდი მკრეხელობა, ცოდვა და ღალატი საკუთარი სარწმუნეობისადმი, ერისადმი არაფერია, როცა შენი ქრისტიანი მრევლი, მათ შორის ქართველი მუსლიმანები, რომლებიც ცხოვრებისეული ქარტეხილის გამო დღეს ისლამის მიმდევარნი გამხდარან, გთხოვენ, რომ მეუფემ მისცეს კურთხევა, მოუვლინოს მოძღვარი, აზიაროს ქრისტინობას. და ამ დროს ისინი სულიერ წინამძღოლთაგან სრულ იმედგაცრუებას გრძნობენ. წალკაში ჩემს მოგზაურობამდე არ იყო ცნობილი იმ მეუფეთა სია, ვინც სინოდის სხდომაზე ხმა მისცა კანონპროექტს ქართული ეკლესიის წინააღმდეგ, გარეგინ II — ის სასარგებლოდ. ჩემს მიერ წარმოებული კვლევის შედეგად, როცა წალკის მეუფე ანანია იმ ოც მოღლატედ გამოცხადებულ მეუფეთა შორის დავინახე, ეს სრულებით არ იყო ჩემთვის გასაკვირი, რადგანაც მის მოღალატეობრივ სქმიანობაზე, როგორც ვნახეთ თვით მის სამწყსოში არსებული მდგომარეობა მიუთითებს.

ზემოთ განხილული საკითხებიდან დასარულს მინდა გავაკეთო შემდეგი დასკვნა: ხელისუფლების მხრიდან ბერძნების მიმართ გამოჩენილი განსაკუთრებული ლოიალობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზთაგანი არჩევნებისას მათი ხმების მიღებაა, ნებისმიერი გზით. დღეს წალკაში დარჩენილ ბერძენთა რაოდენობა ძალიან ცოტაა, მაგრამ ხელისუფლება იმათ ხარჯზე ვინც წალკაშია და ვინც უკვე საბერძნეთში იმყოფება, არჩევნებს აყალბებს თავის სასარგებლოდ. ეს კი ათეულობით ათასს შეადგენს. სწორედ ამიტომ იგებს ხელისუფლება არჩევნებს ძირითადად რეგიონებში, რადგანაც აქ სრული განუკითხაობაა. როგორც ჩანს, საქართველოს ხელისუფლებას, საბერძნეთში მყოფი ან საქართველოში გარდაცვლილი ბერძენი ურჩევნია ცოცხალ ქართველს. ეს სინამდვილეა, ამიტომ უშლიან ხელს ქართველებს რათა იქ არ ჩაეწერონ, არ დარეგისტრირდნენ საარჩევნო უბნებზე.

რაც შეეხება ბერძენი ეროვნების წარმომადგენლებთან ჩემს დამოკიდებულებას, მინდა ვთქვა, რომ თუ ვინმე პატივს სცემს ბერძენ ერს, ერთ-ერთი მეც ვარ მათ შორის, როგორც ფილოსოფთა საზოგადოების წარმომადგენელი, რომელიც დიდად ვაფასებ, როგორც ძველ ბერძენ, მსოფლიოს განმანათლებელ ერს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დღეს ვინმეს უსამართლობითა და უმადურობით ჩემი ერის შეურაცხყოფა მოვითმინოთ.

საქართველო ყოველთვის იყო მრავალეროვანი ქვეყანა და არასდროს არავინ გრძნობდა თავს შევიწროვებულად ქართველთაგან. ასევე უნდა იყოს დღეს, სხვა ეთნიკური უმცირესობები არავითარ პრობლემებს არ უნდა გრძნობდნენ საკუთარი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად, რაც სწორი ნაციონალური პოლიტიკის წარმართვის პირობებში კიდევ უფრო საინტერესო და სასარგებლო იქნება ჩვენთვის, ქართული კულტურისათვის, ასე იყო ოდითგანვე, მაგრამ ამავე დროს ქართველი ერი არ უნდა გრძნობდეს საშიშროებას ეროვნული უსაფრთხოების მხრივ საქართველოში მცხოვრებ სხვა ეთნოსთაგან. ამ მხრივ წალკაში არსებული ნაციონალური ურთიერთობების მდგომარეობა, პირდაპირ საგანგაშოა და ეწინააღმდეგება საქართველოს სახელმწიფოებრივ და ეროვნულ უსაფრთხოებას. წალკაში მცხოვრები ბერძნები და სომხები დიდ უმადურობას იჩენენ ქართველების მიმართ. ისინი როგორც ჩანს სრულებით აღარ უწევენ ანგარიშს იმას რომ საუკუნეების წინ მათი წინაპრები, სხვა ქვეყნებიდან დევნილნი სწორედ საქართველომ შეიფარა...

სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ საქართველოში მცხოვრები საღად მოაზროვნე სომეხი ეროვნების არაერთი წარმომადგენელი დიდად შეწუხებულია საქართველოს მიმართ სომხეთის მხრიდან უსამართლო დამოკიდებულების გამო, რაც ჩვენს, ხალხებს შორის ურთიერთობებს აშკარად ძაბავს.

წალკის მკვიდრმა, ეროვნებით სომეხმა ოვიკ ოვანესიანმა მითხრა, რომ მის სოფელში გარეგინ II - ის ვიზიტს ის არ დაესწრო, რადგან ამაში პოლიტიკას უფრო ხედავს, ვიდრე ღვთისმსახურებას...

აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირში ძირძველ ქართულ გვართა წარმომადგენლებთან ერთად იმყოფება ბატონი უჩა მელიქსეთიანი, რომელიც აგრეთვე ჩვენი უახლოესი მეგობარია. იგი როგორც ჭეშმარიტი ინტელიგენტი და პედაგოგი, ყველას უყვარს თავისი მოქალაქეობრივი პოზიციის გამო. ბატონი უჩა წლების მანძილზე უღალატოდ გვიდგას მხარში ანტიეროვნული პოლიტიკის წინააღმდეგ გამართულ ყველა ღონისძიებაზე. მას ასეთი დამოკიდებულება საქართველოსა და ქართველი ერის მიმართ ოჯახიდან მოსდგამს. ბატონი მელიქსეთიანი ამაყობს თავისი სომხური გვარით და ისტორიით, ასევე ღირსეულად ემსახურება საქართველოს ინტერესების დაცვას, როგორც საქართველოს მოქალაქე. სწორედ ასეთი სომეხი ეროვნების წარმომადგენლები ქმნიან კარგ წარმოდგენას სომეხ ერზე, რომლის მსგავსნიც, იმედს ვიტოვებ სომხეთშიც მრავლად იქნებიან, მათთან მეზობლობა და სასურველი მეგობრობა ხომ თვით ბუნებით არის განპირობებული.

აქედან გამომდინარე, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი. წალკის რაიონის სოფელი აიაზმა, სადაც გარეგინ II-ე ჩავიდა, ჯავახეთისა და ქართლის რეგიონალურ საზღვრო ზოლს წარმოადგენს, აქ მთავრდება სომხებით კომპაქტურად დასახლებული ტერიტორიები. ერთ მთლიანობაში კი ესაზღვრება სომხეთის რესპუბლიკას. გარეგინ II-ის ჩასვლა წალკის ამ სოფელში საზღვრის მონიშვნას ხომ არ ჰგავს?

გარეგინ II-ემ ქართლსა და ჯავახეთს შორის სომხეთის სასარგებლოდ ხომ არ დასვა საზღვარი ისე, როგორც თურქები მოიწევენ ჩოლოქისაკენ? ვფიქრობ, ეს ყველაფერი საფუძველს მოკლებული არ არის, მასში მტკიცე ლოგიკა ჩანს. ამის თქმის საფუძველს იძლევა ჩემს მიერ წარმოდგენილი წალკის მოსახლეობაში არსებული ნაციონალურ ურთიერთობათა მძიმე ფონი, ქართველთა უმძიმესი მდგომარეობა, ცხოვრების ყოველი მიმართულებით, საერო და სასულიერო წინამძღოლთა მიზანმმიმართული გულგრილობა და ანტიეროვნული პოლიტიკა, რომელიც ნებსით თუ უნებლიეთ გარეგინ II-ის გეგმის ნაწილია, რათა აქ არ აღორძინდეს და დამკვიდრდეს ქართული ეროვნული სული.

ამის თქმის საფუძველს იძლევა გარეგინ II-ის საქართველოში ჩამოსვლასთან ერთად საქართველოსთვის დამაქცევარი კანონის მიღება, სომხური მხარისაგან, სომხური ენის რეგიონალურ სახელმწიფო ენად გამოცხადების ინიციატივა, რომელიც უკვე ავტონომიის მოთხოვნისაკენ მიანიშნებს. ეს ყოველივე ურთიერთკავშირშია და შემთხვევითი აქ არაფერია.

საქართველოს ხელისუფლების მიერ ბერძნების ასე გათამამება, ქართველების მიმართ კი განუკითხაობა, იქ მცხოვრები სომეხი ეროვნების წარმომადგენელთათვის წამაქეზებლად მოქმედებს და უარყოფით ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენს. არ არის გამორიცხული, რომ სოფელ საყდრიონის მსგავსად, სადაც ერთადერთი მხოლოდ საბერძნეთის დროშა ფრიალებს, ხვალ წალკისა და ჯავახეთის მეზობელ სომხურ სოფლებში სომხეთის სახელმწიფო დროშები აფრალდეს.

ჩვენ, ყოველდღიურად, საპატრიარქო ტელეეკრანებიდან მიგვითითებს საბანკო ანგარიშებზე და მოგვიწოდებს ქველმოქმედებისაკენ, ფინანსური დახმარება გავუწიოთ ბარსელონაში, ინგლისში, ამერიკასა და ევროპის სხვა ქვეყნებში ქართული ეკლესიების მშენებლობებს მაშინ, როცა საქართველოში, ერისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ზონაში, საუკუნოვან ქართულ ეკლესიებში მღვდელი ვერ მიდის საარსებო მინიმუმის არ ქონის გამო. სად არის ლოგიკა, სად არის სამართალი. აჭარის მაღალმთიან რაიონში, თურქეთის სასაზღვრო ზოლთან, სოფელ ოლადაურის გამონათლევის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიას, რომელიც უკვე ექვსი წელია გაიხსნა, მოსახლეობის არაერთგზის მოთხოვნის მიუხედავად დღესაც არ ჰყავს მღვდელი...

გახმაურებული ფერიის ეკლესია აღარავის ახსოვს, რომელიც ქართული ეროვნული მენტალიტეტის, რაინდული სულის თანდათან მონური ფსიქოლოგიით ჩანაცვლების ერთ-ერთი ნათელი მაგალითია. როდესაც წლების წინ ფერიის ეკლესია ხელისუფლების მითითებით დაანგრიეს, ის ჩვენმა მოსახლეობამ ხედლდახელ ააგო. დღეს კი, უკვე აგებული ეკლესია, როგორც ჩანს საპატრიარქომ ჩაბარა ხელისუფლებას, სადაც თურქი ბიზნესმენები გასართობ ობიექტებს აშენებენ, ეკლესია მის ფონზე დამცირებულ მდგომარეობაშია, ცხადია, ბოლოს დაანგრევენ. ხალხი კი, იმედგაცრუებული დუმს, თავისუფლების მოყვარე რაინდული სული თანდათან ქრება... ეს ყველაფერი წალკის მდგომარეობასთან კავშირშია და ანტიეროვნული პოლიტიკის ნაწილია.

ადრე, ჩვენი წინაპრები, წმიდა მამები ასე ლოცულობდნენ: ღმერთო მიეცი საქართველოს მეფეს, დედოფალს ძალა რჯულის, ზნეობის სიმტკიცისათვის.“ ფაქტები მეტყველებენ, რომ ქართველებს დღეს ისე უკიდურესად შეგვექმნა საქმე, რომ უპირველესად სასულიერო წიმამძღოლთა ზნეობრივი სიმტკიცისათვის უნდა ვილოცოთ, (დიდი პატივისცემით და სიყვარულით ვხრი თავს იმ სასულიერო პირთა წინაშე, ვინც ხმას იმაღლებს არსებული უსამართლობისა და უზნეობის წინააღმდეგ, რაც ჩვენთვის დიდი იმედის მომცემია). ამას მოწმობს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მრავალრიცხოვან წევრთა სახელით საქართველოს პატრიარქისადმი მიწერილი წერილი, საქართველოს პარლამენტის მიერ რელიგიათა შესახებ მიღებული კანონის გაუქმების მოთხოვნით, რომელსაც სინოდის უმრავლესობამ დაუჭირა მხარი (ასავალ—დასავალი, 12—18 სექტემბერი. „მღვდელ-მსახურები ითხოვენ“). მაგრამ როგორც ჩანს, მხოლოდ ლოცვით საქმე არ კეთდება, ეკლესიისა და ქვეყნის გადასარჩენად ფიზიკური გარჯაა საჭირო. მოვიყვან ერთ მაგალითს. რამდენიმე წლის წინ, რუსეთის ერთ-ერთ გუბერნიაში ორმა ზნედაცემულმა „ცისფერმა“ ეკლესიაში ოცდახუთიათასი დოლარი გადაუხადა ერთ მღვდელს ქრთამის სახით და ჯვარი დაიწერა. როდესაც ეს მრევლმა გაიგო, მივარდნენ ეკლესიაში, მღვდელმა გაქცევით უშველა თავს, მაგრამ ხალხმა შებილწული ეკლესია დაანგრია (ხის იყო) და დაწვა, მის ადგილას სხვა ეკლესია ააგეს.

ამ საშინელი მაგალითიდან გამომდინარე ვფიქრობ, რომ ის ოცი გამყიდველი ქართველი მეუფე ვერაფრით სჯობია ერთ მექრთამე მღვდელს და ორ „ცისფერს“, რომელთაც ერთი ეკლესია წაბილწეს, ესენი კი მთელი ქართული ეკლესიისა და ერის წინააღმდეგ კანონს უჭერენ მხარს, რაც კიდევ უფრო მძიმე დანაშაულია, რამეთუ მრევლის გულწრფელი ნდობით სარგებლობენ და მხოლოდ საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ, უზნეო ცხოვრებას ეწვიან. ამ ყვლაფერმა კი ქვეყანა უკიდურეს მდგომარეობაში ჩააგდო, სინოდის შეკრებაზე კრიტიკულ მომენტში მოხდა ამის ლუსტრაცია.

აბსოლუტური ავტორიტეტი, ვიზეც შეიძლება სრულიად მინდობა არის ღმერთი, უმაღლესი გონი, დედამიწაზე კი ეს შეუძლებელია. ერის გულშემატკივარი მოაზროვნე საერო თუ სასულიერო პირი და მრევლი მხურვალე ლოცვების გარდა ცივი გონებით უნდა ადევნებდეს თვალს საერო და სასულიერო ხელმძღვანელობას თუ საით მიაქანებენ ქვეყნას. ამ აზრს, რამდენადაც საწყენი არ უნდა იყოს, მოწმობს დღევანდელი ჩვენი ქვეყნის უმძიმესი მდგომარეობა.

საქართველოს პატრიარქი, რომლისგანაც პირადად მაქვს მიღებული კურთხევა, მიყვარს იმიტომ რომ მისი მეთურობით ქართულ ეკლესიაში საქართველოს გადარჩენას ვხედავ, როგორც ქართველთა ქვეყნისა. „მე ვარ მწყემსი კეთილი, მწყემსმან კეთილმა, თავი თვისი დასდვას ცხვართათვის“, გვამცნობს საღვთო წერილი... დღეს ქართული ეკლესია, თავად პატრიარქი, მრევლი, ჩვენ ყველა დაუნდობელი გამოცდის წინაშე ვდგავართ...

ჩემს მიერ წარმოდგენილ ფაქტებთან დაკავშირებით შეიძლება ვინმე კრიტიკის მიზნით იტყვის, რომ წალკა სულიერების მხრივ ცნობილია, იქ ხომ არაერთი ცნობილი მოქმედი მონასტერია სადაც ბერები საქართველოს გადარჩენისათვის ლოცულობენ.

(დასასრული მე-8 გვერდზე)

Geogrand

ს ხ ო ვ რ ე ბ ა თ ა მ ა შ ი ა

ინტერნეტ-ტოტალიზატორი "ბეო ბრანდი"

WWW.GEOGRAND.GE

მ ხ ო ლ ო დ ჩ ვ ე ნ თ ა ნ:

კოეფიციენტების ნამრავლი-2000

თამაშების ფართო არჩევანი

ყველაზე მაღალი კოეფიციენტები

იყიდება ტოეს ჯიშის დეკორატიული და ციტრუსის (მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი) ნერგები. ტელ: 593 18 04 34

ყურადღება!

WWW.ARIES.GE
CREWING AGENCY

შპს მეზღვაურთა დასაქმების სააგენტო

ARIES

აცხადებს მეზღვაურთა მიღებას შემდეგ მაღალანაზღაურებად თანამდებობებზე:

გემის კაპიტანი
კაპიტნის თანაშემწე
უფროსი მექანიკოსი
მეორე მექანიკოსი
ელექტრომექანიკოსი

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ მისამართზე: ბათუმი, ჟორდანიას ქ.№9; ტელეფონი: 27 96 86; მობ: 597 96 95 93

WWW.ARIES.GE

გეპატიჟებათ „ბიგ-ბენი“

გთავაზობთ ტორტებისა და ნამცხვრების ფართო არჩევანს, ვიღებთ შეკვეთებს საღღესასწაულო ტკბილეულზე. მაღაზია მოგემსახურებათ პროდუქციის ბინაზე მიტანითაც.

ჩვენ გთავაზობთ მაღალ ხარისხს და ხელსაყრელ ფასებს!

დაგვიკავშირდით 24 საათის განმავლობაში:

558 97 44 00
599 97 44 00
8 426 22 48 95

გარეგინ II-ე სომხეთ - საქართველოს ახალ საზღვარზე მიუთითებს

(დასასრული)

მართალია, იქ არაერთი მონასტერია, რაც არაერთხელ ვახსენე, მაგრამ ბერები განდეგილ ცხოვრებას ეწევიან, მათი როლი დიდია როგორც უფლის წინაშე საქართელოსათვის მლოცველთა, მაგრამ საქართველოს გადასარჩენად ეს არასაკმარისია. ერის გადარჩენაცა და მომავალი კეთილდღეობაც მთლიანად მრევლის სულიერ სიჯანსაღესა და ზნეობრივ სიმტკიცეზეა დამოკიდებული. ის, რომ წალკის, აჭარისა და სხვა რეგიონების მონასტრების როლზე ხშირად ტელევიზიით ხაზს უსვამენ თითქოსდა ქრისტიანული ღვთიმსახურების მხრივ აქ ყველაფერი ყვავის, იქ არსებული საშინელი მდგომარეობის დასაფარავად გამოიყენება, რაზედაც უკვე ვისაუბრეთ.

XII საუკუნეში დავით მეფის დროს თუ არა მრევლის ზნეობრივი სიმტკიცე, ქართველი ხალხის მიერ ეკლესიის შიგნით შესამჩნევი უსამართლობის მიმართ გულისტკივილი, ეკლესიის სიწმნიდის მოთხოვნა, რუის ურბნისის კრება არ ჩატარდებოდა. იგივე პასუხისმგებლობა ღვთისა და ერის წინაშე გვაკისრია ჩვენ დღეს.

დასასრულ, რადგანაც წერილის დაწერის მიზეზი გარეგინ II-ის საქართველოში ვიზიტი და საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ კანონის მიღება გახდა, მინდა გამოვთქვა ჩემი შეხედულება საქართველოს პარლამენტსა და წმინდა სინოდზე, მათ მსგავსებასა და ურთიერთკავშირზე.

„ბრძენის ცუდითა ქცევითა, უმალ წახდების ერი,“ - ბრძანებს დავით გურამიშვილი. კერძოდ, დავიწყოთ პარლამენტით. მაგ. პარლამენტში დაისვა ანტიეროვნული კანონპროექტი, უმრავლესობამ მხარი დაუჭირა, უმცირესობამ არა, როგორც ყოველთვის, კანონი ძალაში შევიდა. ცხოვრება კი ჩვეულ რეჟიმში, ქვეყნის საბოლოო დანგრევისკენ გაგრძელდა. სინამდვილეში, როგორც ყველასათვის ცნობილია, პარლამენტი თავისი უმრავლესობითა და უმცირესობით ანტიეროვნულ პოლიტიკას ატარებს სოროსისა და ახლა უკვე გარეგინ II-ის გეგმის თანახმად, უმაღლესი ხელისუფლების მითითებით. აქედან გამომდინარე უნდა ითქვას, რომ ის პარლამენტარი ვინც მხარი არ დაუჭირა ეკლესიის წინააღმდეგ კანონპროექტს, არაფრით სჯობიან იმათ, ვინც მხარი დაუჭირა. ყველამ ვიცით, რომ ეს დასავლეთის თვალში დემოკრატიის იმიჯისთვის არის საჭირო. იმათ ხომ ყველამ ერთად გაყალბებული არჩევნებით ქვეყანა უკიდურეს მდგომარეობამდე მიიყვანეს და კვლავ ერთხმად აგრძელებენ თავიანთ მოღალატეობრივ საქმიანობას. მათი ასეთი თავშეკავება ქართული ეკლესიის წინააღმდეგ კანონთან დაკავშირებით თითქოსდა ღვთის შიშით, მხოლოდ ბრიყვთათვის უნდა იყოს დასაჯერებელი.

აქედან, ეკლესიასთან კავშირში მინდა ვთქვა, რომ როცა წმინდა სინოდმა უმრავლესობით მხარი დაუჭირა პარლამენტის გადაწყვეტილებას, რელიგიათა შესახებ კანონის მიღებას, ეს არ უნდა ნიშნავდეს, რომ სინოდის უმცირესობამ რომელიც დარწმუნებულია აღნიშნული კანონის მიღების უსამართლობაში, საქართველოსთვის მომავალში დამანგრეველი შედეგებით, პარლმენტის მსგავსად გააგრძელოს ჩვეულ რეჟიმში ცხოვრება, წყნარად შეჰყურებდეს ქართული ეკლესიის საბოლოო წაბილწვასა და ქვეყნის განადგურებას. თუ ეს ასე არ არის, მაშინ სინოდის უმცირესობამ, რომელთანაცაა ქართველი ერი უნდა მოითხოვოს მოღალატეთა და უზნეოთა მოკვეთა ქართული ეკლესიისაგან. მათ მიერ მოწონებული კანონის გაუქმება, რუის-ურბნისის მსგავსი კრების მოწვევა რაც შეიძლება მალე. მღვდელმსახურთა მოთხოვნას პირადად მე, ჩემს თანამოაზრეებთან ერთად მხარდაჭერას ვუცხადებ!

და თუ ეს ასე არ იქნება, მაშინ სამწუხაროდ წმინდა სინოდის სახით, ვფიქრობ, იგივე ანტიეროვნულ პარლამენტთან გვაქვს საქმე, მათ ურთიერთკავშირთან, რაც საქართველოს წინააღმდეგ იგივე შეთქმულებად უნდა შეფასდეს, პირადული ინტერესებიდან გამომდინარე,..

ასეთ შემთხვევაში ქართველმა ხალხმა, როგორც მემკვიდრემ და პასუხისმგებელმა ქართული ეკლესიისა, უნდა გაწმინდოს ეკლესია და ანტიეროვნული პოლიტიკის გამტარებელი სახელისუფლებო ორგანოები სიბილწისაგან, თუ ღირსეული ადამიანობა და ნამდვილი ერობა გვსურს.

მიმაჩნია რომ, მხოლოდ ზნეობით, მამულიშვილობით, ეკლესიისა და მრევლის, საერო და სასულიერო პირთა ერთობით შეიძლება შევინარჩუნოთ ჩვენი ენა, მამული, სარწმუნოება.

ნიაზ ბოლქვაძე,
აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირის სახელით
კავშირის თავჯდომარე.
მწერალი, ფილოსოფოსი

შპს „ნილე-ჯგუფი“

მაგოიძახეთ მაზი
3-24-03; 7-36-39

ჩვენი აბონენტებისათვის გაზის ხელსაწყოების ტექნიკური მომსახურება უფასოა!

დარეკეთ:
893 18-19-74

www.adjaraps.wordpress.com
საქართველოს რესპუბლიკა მუდის ასოციაციის წევრი სახალხო გაზეთი
აჭარა P.S.
გამოდგების მეოთხისაგან ჩვენი
ჩვენ არ ვიბეჭდით ფერს!
E-mail:adjaraps@mail.ru

მთ. რედაქტორი
ჯემალ მეგრელიძე

დამფუძნებელი შპს „გაზეთი აჭარა P.S.“
რეგისტრაციის № 03-4-111

მისამართი: ქ. ბათუმი, გამსახურდიას ქ.№13,
ტელ: 22 36 06, მთ.
რედაქტორი: 29 24-24

სარედაქციო კოლეგია: ამირან კილურაძე, ეთერ ჩხაიძე, ნუგზარ ჟორდანია, ნანა ახალაძე, სისანა ანთაძე, ნირა ქობულაძე, ნატო ბერია.

გაზეთი მუშაობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის მიერ შეუკვეთავი პუბლიკაციისათვის ჰონორარი არ გაიცემა. R ნიშნით აღნიშნული მასალები სარეკლამოა. B ნიშნით აღნიშნული სარეკლამო მასალა უფასოა!

იბეჭდება
შპს „პოლიგრაფ - 2010“-ში,
ქმს: ქ. ბათუმი,
აუშაკინის ქ.№162